619
1960

ეროვნული
ბიბლიოთეკა



619 12
46

# დროშა

№ 7 ივლისი 1960



სოციალისტური შრომის გმირი
ტრიფონ ფოფხაძე თავის ოჯახში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელექტრონული ბიბლიოთეკა



პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# დროშა

№ 7 (108) ივლისი, 1960 წ.

გამოცემის IX წელი.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტი-
კური და სალიტერატურო-სამხატვრო
ჟურნალი

შვიდწლედის ერთი წუთი და ერთი პროცენტი

მშენებელთა ოჯახი მოდის

მარხილი

პოლონსკის თბილისური ჩანახატები

გმირი შავი ოქროს ქალაქიდან

ლოენგრინის სიკვდილი

ძალად ოფიციანტი

ხელოვნური ტვინი

მოთამაშე მანქანები

კალიებისაგან დამზადებული სადილი

მოლაპარაკე ვაშლი

ამას წინათ 40 წელი შეუსრულდა ჩვენი ხალხის საყვარელ გაზეთს «კომუნისტს». გაზეთი «კომუნისტი» საბჭოთა საქართველოს ცხოვრების, ჩვენი ხალხის გმირული შრომისა და გამარჯვებების ცოცხალი მატიანეა. ამიტ ომ სარგებლობს იგი საყოველთაო აღიარებითა და უდიდესი პოპულარობით.

ფოტოზე—საბეჭდი მანქანიდან ჩამოდის «კომუნისტის» მორიგი ნომერი.

ვან კლიბერნი ფილარმონიის საზაფხულო დარბაზში.

(იხ. გარეკანის მე-3 გვერდი)



7986

# ფოლადის ნაკადი

მარტენის ღუმელმა დაიქუხა. ცეცხლგამძლე ღარიდან დაიძრა ფოლადის ტალღა და ვეება პირფართო ციცხვში დაეშვა. ლითონის ხარისხი შეამოწმეს, ცივი ნადნობიაო, თქვეს. მიხვდა სერგო ინასარიძე, ცუდად რომ იყო საქმე. გაფითრდა, ხმა ვერ ამოიღო.

ეს რა მოსდის... ისიც ზედიზედ... ახალბედა მეფოლადე ხომ არ არის, რომ დაუყვავონ და უთხრან: არა უშავს, დაუკვირდები და ისწავლი, მარცხი სხვებსაც მოსვლიათო...

იმ დღეს მხოლოდ საამქროს მუშებმა და მეგობრებმა გაიგეს მისი მარცხი, ახლა კი, ალბათ, მთელმა ქარხანამ და ქალაქმა გაიგო. და, ვინ იცის, მის სოფლამდეც მიაღწიოს ამ ამბავმა, გული ატკინოს ყველას, ვისაც იცნობს და უყვარს, ვისთანაც ხელობით თავი მოუწონებია და ქებაც მოუსმენია...

ის იყო წასასვლელად მოემზადა, რომ შეატყობინეს: საამქროს უფროსი გიბარებსო. იგრძნო სერგომ, რისთვისაც იხმობდნენ... ისე მიადგა საამქროს უფროსის კაბინეტს, არც გაუგია. შევიდა თუ არა, დაინახა: დარბაზში ნაცნობი ადამიანები ისხდნენ. სერგო ცვლის უფროსის — შალვა კუხალეიშვილის გვერდით დაჯდა. საამქროს უფროსმა სათითაოდ შოავლო ყველას თვალი. მერე კი დაწვრილებით უამბო სერგო ინასარიძის შრომით მარცხზე, წინანდელიც გაიხსენა და დაუმატა: სხვა სამუშაოზე გადავიყვანთო...

ყველანი სდუმდნენ. სდუმდა სერგოც. როცა საამქროს უფროსმა თქვა: ამხანაგო ინასარიძე, შენ თავისუფალი ხარო, სერგოს კარგად არც გაუგონია და ამხანაგებმა შეახსენეს შემდეგ, სერგომ თავი ასწია, დარბაზს ნაღვლიანი თვალები მოავლო და გარეთ გამოვიდა...

დარბაზში კვლავ გახურდა მსჯელობა და კამათი. ზოგიერთი მარცხს უყურადღებობას მიაწერდა, ზოგი კი იმასაც ამბობდა, ამ ბოლო დროს სერგო ძალიან გულჩათხრობილი გახდა, უთუოდ რაღაც აწუხებსო... ეჭვსაც გამოთქვამდნენ: სოფლიდან რაიმე ცუდი ამბავი ხომ არ შეიტყო და გვიმალავსო...

შალვა კუხალეიშვილი ყურადღებით უსმენდა ყველას. იგი არც ერთს არ ეთანხმებოდა, შალვამ გამოცდილებით იცოდა, მეფოლადეს მართლაც შეიძლება ასეთი რამ შეხვდესო...

შალვა წამოდგა. ყველანი სმენად იქცნენ... მან, ჯერ—როგორც ცვლის უფროსმა, მეფოლადეთა წარმატებებზე ილაპარაკა, შემდეგ მოწინავე გამოცდილების გავრცელებაზე გაამახვილა ყურადღება და სერგო ინასარიძის მარცხი ღუმელში ფოლადის დნობის ტექნოლოგიური პროცესების დარღვევით ახსნა... და მოხდა ის, რასაც აქ არავინ ელოდა... შალვამ საამქროს უფროსს სთხოვა, ხვალ სერგოსთან ერთად მეც ვიმუშავებ მეფოლადედ ღუმელთანო.

საამქროს უფროსს მოეწონა შალვას აზრი, ეს, მართლაც, ჩინებულიაო, თქვა და სახეზე ღიმმა გადაურბინა. ყველანი წავიდ-წამოვიდნენ.

შალვა საამქროს ეზოდან გავიდა და ქალაქში გასასვლელ გზას დაადგა.

როდესაც შალვა სერგოს ოთახში შევიდა პაპიროსის კვამლის სუნი ეცა, ფანჯარა გამოაღო. საფერფლე პაპიროსის ნამწვავებით იყო სავსე...

— არა გრცხვენია, ბიჭო, — მიმართა სერგოს, — ვაჟკაცი მეგონე და ჯაბანი ყოფილხარ... რა ვუყოთ, რომ ცოტა შეგახურეს. საჭიროა. ყველამ რომ წუნი დაუშვას, ცუდად წავა ჩვენი საქმე, თავი საქვეყნოდ მოგვეჭრება.

სერგო თავჩაღუნული უსმენდა...

— ასწიე, ბიჭო, თავი, მართლა თავი კი არ მოუჭრიათ შენთვის, — სიცილით უთხრა შალვამ და ბეჭზე ხელი დაჰკრა. — ადამიანს ბევრი რამ შეხვდება ცხოვრებაში, სიხარულიც, დარდიც და მწუხარებაც. კარგი იყო, არ მოგსვლოდა, ახლა კი რა გაეწყობა... არც ჩემი ცხოვრება იყო წარსულში ია-ვარდით მოფენილი... აი, დღეს ცვლის უფროსი ვარ და რამდენი შენისთანა მეფოლადე მაბარია, ყველაზე უნდა ვაგო პასუხი... მოდი, დაჯექი, ერთი ამბავი მინდა გიამბო. შენმა დღევანდელმა მარცხმა ჩემი აღმზრდელი გრიგოლ კუზნეცოვი გამახსენა, რა კეთილი და უანგარო კაცი იყო, რა სუფთა გული ჰქონდა... მართალია, კარგა ხნის ამბავია, მაგრამ შენთვის, მგონი, არ მიამბნია... იმ წელს ტაგანროგ-



ცვლის უფროსი შ. კუხალეიშვილი და მეფოლადე ს. ინასარიძე

ში მკაცრი ზამთარი იყო, სუსხი ძვალსა და რბილში ატანდა. გამიჭირდა, გრიგოლი ჩალურჯებულ ტუჩებზე დამაცქერდა და მითხრა: შეგცივდა? საღამოს ჩემთან მოდი და თბილ ტანსაცმელს მოგცემ, ახლა სახლში წადი, ახალი ჩამოსული ხარ და დაისვენეო... წავედი, ცოტა გავთბი. ის იყო გრიგოლთან წასვლას ვაპირებდი, რომ თვითონ მოვიდა ჩემთან, ტანსაცმელი მომიტანა და მითხრა: ვიფიქრე, ვაითუ გზა დაებნეს და ველარ მომაგნოს-მეთქი, გული არ დაგწყდეს, მალე მე თვითონ წაგიყვანო... სიხარულით ცას ვეწიე, ისე გავმხნევდი, უკვე აღარაფერი მაშინებდა... თანდათანობით საქმესაც შევეჩვიე, შევუყვარდი ამხანაგებს და მეგობრებს, განსაკუთრებით კი გრიგოლ კუზნეცოვს. კარგი მეფოლადე დადგებიო, — ღიმილით მეტყოდა და მიამბობდა თავისი ცხოვრების ამბებს. მართალია, მაშინ ბევრი რამ არ გამეგებოდა, მაგრამ დიდი გულისყურით კი ვუსმენდი, ზოგჯერ ისეთ გულუბრყვილო კითხვებს ვაძლევდი, რომ გრიგოლი ხარხარებდა. მალე ისე გავიწაფე შრომაში, რომ ჩემს აზრს ანგარიშს უწევდნენ, ზოგჯერ რჩევასაც მკითხავდნენ. ქარხნის კომკავშირის კომიტეტის წევრად ამირჩიეს, მერე — კომიტეტის მდივნად, ერთი წლის შემდეგ კი პარტიის წევრობის კანდიდატად მიმიღეს. შრომაში გაირბინა სამმა წელმა. კარგად ავითვისე ფოლადის გამოდნობის საქმე. უკვე დამოუკიდებლად ვადნობდი ლითონს. სულ რაღაც 6 თვე ვიმუშავე მეფოლადედ, რომ რუსთავიდან დეპეშა მივიღე, აუცილებლად ჩამოდიო... დეპეშამ გამახარა, მაგრამ თანაც დამაღონა, ისე შემიყვარდა საამქროს კოლექტივი, დამენანა მათი დატოვება. არც მათ გახარებიათ ჩემი წამოსვლა, ისინიც გულდაწყვეტილნი მაცილებდნენ საქართველოსკენ, განსაკუთრებით ჩემი აღმზრდელი გრიგოლ კუზნეცოვი ღელავდა.

რუსთავში რომ ჩამოვედი, მარტენის საამქროს აგებდნენ. ავიღე გრძელვადიანი შვებულება და ჩემს მშობლიურ სოფელს მახურას ვეწვიე. ჩამოვედი თუ არა სოფლიდან, პირველი ქართული ფოლადის გამოსადნობად მოვემზადე. მართალია, გამოცდილება არ მაკლდა, მაგრამ მაინც ვღელავდი, ხომ იცი, ათასი თვალი მოგჩერებია, ერთი პატარა უყურადღებობა და, შეიძლება, სამუდამოდ შერცხვე... ქარხნის მთავარი ინჟინერი ნიკოლოზ ქაშაკაშვილი, მარტენის საამქროს უფროსი სოლომონ შარაძენიძე, ქარხნის დირექტორი ნიკოლოზ გომელაური ერთი წუთითაც არ გვტოვებდნენ... ლითონის დნობამ წარმატებით ჩაიარა, დაიბადა პირველი ქართული ფოლადი... დიდი სიხარულისა და ბედნიერების დღე იყო ჩემს ცხოვრებაში, წელს წარმოებისაგან მოუწყვეტლივ პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეტალურგიულ ფაკულტეტს ვამთავრებ და მომავალი წლიდან ინჟინერი ვიქნები. შენც უნდა ეცადო, ჯერ ახალგაზრდა ხარ, რა გიშლის ხელს, პირობები არ მაქვსო, ვერ იტყვი, ნიჭიც ხელს გიწყობს, მთავარია მონდომება, გულის დადება, ხომ ასეა, რას იტყვი, ჰა?

შალვა წასასვლელად მოემზადა.

— რა გეჩქარება, შე კაცო, ღამე დიდია; ვისაუბროთ კიდევ, განა სათქმელი ცოტა გვაქვს... ამდენხანს შენ გისმენდი, ახლა ცოტა ხანს მეც მომისმინე, — უთხრა სერგომ.

— ადრე უნდა ავდგეთ, ხვალ ერთად უნდა გამოვადნოთ ლითონი, შენი პირველი თანაშემწე მე ვიქნები... რას დაფიქრდი, წინააღმდეგი ხომ არა ხარ?!

— რას ამბობ, შალვა... მე... შენთან ერთად...— უნდოდა რაღაცა ეთქვა სერგოს, მაგრამ ენა დაება...

ბობოქრობს ღუმელი, გალღობილი ფოლადის ტალღა გრიგალივით აწყდება კედლებს და გადმოხეთქვას ლამობს... შალვა შეჰყურებს სერგოს და უხარია, სერგო მალულად გასცქერის შალვას და ფიქრობს: ასეთი მეგობრის შერცხვენას სიკვდილი სჯობია... ღუმელი კი კვლავ ღმუის და შიგ ფოლადის თქეში თუხთუხებს, ცეცხლის ნაპერწკლებს ისვრის... — მთავარი თერმული რეჟიმის დაცვაა, — ჩასჩურჩულებს შალვა, საჭიროა ჰაერის წნევის ისე რეგულირება, რომ მაღალი ტემპერატურაც შეინარჩუნო და ღუმელის თაღიც არ გადაწვა...

როგორ მიდის ფოლადის დნობა? კითხულობს საამქროს პარტბიუროს მდივანი აკაკი გეფერიძე... და როცა პასუხს იღებს, მასაც უხარია... ფოლადის გაშვების დროც დადგა. სერგო და შალვა თადარიგს შეუდგნენ, ლითონის სინჯი ექსპრეს-ლაბორატორიაში აფრინეს, იქ შალვას და — დიდო ელის... სინჯი შეამოწმეს, ფოლადის გაშვება ნებადართულია...

კვლავ იქუხა ღუმელმა, ლითონის ოქროსფერი მდინარე პირფართო ციცხვებში დაეშვა, ნადნობი მაღალი ხარისხისაა, დნობის დროც სარეკორდო, 5 საათი და 40 წუთი გეგმით ნავარაუდევი 8 საათის ნაცვლად... მათი წარმატების ამბავი ჯერ საამქრომ გაიგო, მერე ქარხანამ და მთელ ქალაქს მოედო... წარმატებას ახალი წარმატება მოჰყვა.

მეორე დღეს სერგომ დამოუკიდებლად 5 საათსა და 30 წუთში გაუშვა ნადნობი. სამშობლომ გეგმის გადამეტებით ათობით ტონა მაღალი ხარისხის ლითონი მიიღო...

**გივი თევზაძე**

# შვიდწლედის ერთი წუთი

## და ერთი პროცენტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თენგიზ ჭიაბრიშვილი

გავყვეთ დროს... მართალია წელიწადში 8.760 საათი ანუ 525,600 წუთია, მაგრამ თუ საათებსა და წუთებს გადავამრავლებთ საბჭოთა ხალხის გმირულ, შემოქმედებით ენერგიაზე, მივიღებთ დროის სრულიად ახალ საზომს — საათები გადაიქცევიან თვეებად და წლებად.

დააკვირდით როგორ „დიდდება" ერთი წუთი შვიდწლედში.

**1965 წლის ერთ წუთში** მიღებული იქნება 1 მილიონამდე კვს ელექტროენერგია.

რას ნიშნავს ერთი კვს? მისი დახმარებით შეიძლება 1 ტონა ტვირთი ავიტანოთ 367 მ. სიმაღლეზე; გამოვადნოთ 2,5 კგ თუჯი; გავგლინოთ 50 კგ ლითონი და სხვა. ერთ წუთში მიღებული ელექტრო-




ენერგია კი საკმარისია იმისათვის, რომ ამოვიღოთ 30.000 ტონაზე მეტი ნავთობი, ან გამოვუშვათ 200 ტრაქტორი, ან 500 ავტომობილი, ან 2 მილიონი წყვილი ფეხსაცმელი, ან 10 მილიონი მეტრი ქსოვილი და ა. შ. შედარებისათვის აღვნიშნავთ, რომ 1913 წლის ერთ წუთში გამომუშავდებოდა 3800 კვს.

1965 წელს ელექტროენერგიის გამოშვება მიაღწევს 500-520 მილიარდ კვს. ეს ნიშნავს, რომ ერთ დღეში გამომუშავდება 3-ჯერ მეტი ელექტროენერგია, ვიდრე მთელი 1921 წლის მანძილზე, როცა საბჭოთა ხალხმა დაიწყო ქვეყნის ელექტროფიკაციის დიადი გეგმის — გოელროს — განხორციელება. იმ დროს ჩვენი ქვეყანა აწარმოებდა 0,5 მილიარდ კვს, ე. ი. 1000-ჯერ ნაკლებს, ვიდრე 1965 წელს იქნება.



**1965 წელს ერთ წუთში** მოპოვებული იქნება 300.000 კუბური მეტრი გაზი. ყოველი 1000 კბ. მ. გაზი სცვლის 750 კგ. ბენზინს, ან 800 კგ. ნავთს, ან 1,2 ტ. დონეცის ქვანახშირს, ან 6 კუბ. მეტრ შეშას.

1 ლიტრი წყლის ასადუღებლად საჭიროა 10-12 კაპიკის შეშა, 5-6 კაპ. ნავთი, ხოლო გაზი — 0,9 კაპიკისა. გაზის მაცივრის ექსპლოატაცია 10-ჯერ უფრო ეკონომიურია, ვიდრე ელექტროენერგიაზე მომუშავისა. გაზის გამოყენება მოქმედ მარტენის ღუმელებში ფოლადის გამოდნობას გაზრდის რამდენიმე მილიონი ტონით; გაზი საუკეთესო ნედლეულია სინთეზური პროდუქციის მისაღებად; გაზი მნიშვნელოვნად განტვირთავს რკინიგზის ტრანსპორტს; გაზზე მომუშავე ელექტროსადგურების ღირებულება, $^{1}/_{5}$-ით იაფია ვიდრე ქვანახშირისა.

შვიდწლედის ბოლოს სულ მიღებული იქნება 150 მილიარდი კბ. მ. გაზი, ხოლო ყოველ ერთ წუთში წარმოებული გაზის რაოდენობით შეიძლება გამოვადნოთ 9.000 ტ. თუჯი, კომბაინით ავიღოთ მარცვლეული 30 ათას ჰექტარზე, მოვამზადოთ საჭმელი 1.200. 000 კაცისათვის...

**1965 წლის ერთ წუთში** გამოდნობილი იქნება 183 ტ. თუჯი, 173 ტ. ფოლადი, ამოღებული იქნება 456 ტ. ნავთობი, 1500 ტონაზე მეტი ქვანახშირი, წარმოებული იქნება 154 ტ. ცემენტი, მოპოვებული იქნება 320 ტ. რკინის მადანი.

შვიდწლედის ბოლოს ჩვენი ქვეყანა მიიღებს 65-70 მილიონ ტონა თუჯსა და 86-91 მილიონ ტონა ფოლადს. ეს ნიშნავს, რომ ჩვენ სულ უფრო მეტი და მეტი დაზგები, ავტომობილები, და ტრანსპორტის საშუალებები გვექნება.

შვიდწლედის ბოლოს ყოველ 19 დღეში ჩვენი მეფოლადეები დაამზადებენ უფრო მეტ ფოლადს, ვიდრე მზადდებოდა მთელ 1913 წელს. 1965 წელს ერთ სულ მოსახლეზე ვაწარმოებთ ნახევარ ტონაზე მეტს და მჭიდროდ მივუახლოვდებით ფოლადის თანამედროვე წარმოების დონეს აშშ-ში.

**1965 წლის ერთ წუთში** მოპოვებული ნავთობი შეიცავს იმდენ საწვავს, რამდენიც სავსებით საკმარისია იმისათვის, რომ ავტომობილით 35-ჯერ შემოვუაროთ დედამიწის ეკვატორს.

1965 წლის ერთ დღეში ჩვენ ვაწარმოებთ იმდენ მანქანებსა და ლითონის ნაწარმს, რამდენსაც აწარმოებდა რევოლუციამდელი რუსეთი მთელ 1913 წელს. 1958 წელს 1913 წელთან შედარებით მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავების პროდუქცია გაიზარდა 240-ჯერ.

1930 წელს სტალინგრადის ქარხნის კონვეიერიდან ჩამოვიდა პირველი საბჭოთა ტრაქტორი, რომელიც საჩუქრად მიუძღვნეს კომუნისტური პარტიის მე-16 ყრილობას. 1957 წელს კი ჩვენმა ქვეყანამ საზღვარგარეთ გაიტანა დაახლოებით 7.000 ტრაქტორი. 7 წლის განმავლობაში გამოშვებული იქნება 1 მილიონზე მეტი ტრაქტორი, 400 ათასამდე მარცვლეულის კომბაინი და სხვა მანქანები.

**1965 წლის ერთ წუთში** კონვეიერიდან გადმოვა 1,6 ცალი ავტომობილი,

**1965 წლის ერთ წუთში** გამოშვებული იქნება 980 წყვილი ფეხსაცმელი, 20.000 მ. ქსოვილი; სულ გამოშვებული იქნება 10,6 მილიარდი მეტრი ქსოვილი. ამ რაოდენობის ქსოვილიდან თვითეულ ჩვენს ქალს შეუძლია შეიკეროს 26 კაბა.

საბჭოთა კავშირმა არა მარტო გაუსწრო აშშ-ს მსუბუქი მრეწველობის უმნიშვნელოვანესი ნაწარმის გამოშვების ტემპებითა და აბსოლუტური მატებით, არამედ მსოფლიოში პირველ ადგილზე გამოვიდა შალისა და სელის ქსოვილების წარმოებით.

შვიდწლედის ბოლოს მთლიანად იქნება დაკმაყოფილებული მოსახლეობის მოთხოვნილება ველოსიპედებზე, რადიომიმღებებზე, ტელევიზორებზე და ბევრ სხვა საქონელზე. მარტო საათები შვიდი წლის მანძილზე გამოშვებული იქნება დაახლოებით 200 მილიონი ცალი.

**1965 წლის ერთ წუთში** კვების მრეწველობა გამოუშვებს 12.200 ცალ კვერცხს, 27.000 კგ. ხორცს, 27.000 კგ. რძეს, 20.000 კგ. შაქარს. 9.000 კგ. თევზს...

შვიდწლედის ბოლოს უმნიშვნელოვანესი სასურსათო პროდუქტების მოხმარების დონე საბჭოთა კავშირში უფრო მაღალი იქნება, ვიდრე აშშ-ში. ხორცის მოხმარება გადიდდება 2-ჯერ და უფრო მეტად, ყოველ მცხოვრებზე მივიღებთ 450 კგ. რძეს, რაც მნიშვნელოვნად აღემატება აშშ-ში მიღწეულ დონეს.

**1965 წლის ერთ წუთში** ჩვენ გამოვუშვებთ 20 ტონა შაქარს.

მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის მიერ დადგენილი შაქრის საშუალო სულადობრივი მოხმარების ნორმა შეადგენს 32 კგ. წელიწადში. ამ დონეს ჩვენ მივაღწევთ უკვე მიმდინარე წელს.

**1965 წლის ერთ წუთში** გამოშვებული იქნება 3.200 ეგზემპლარი წიგნი. ამჟამად ჩვენი ქვეყნის სტამბებიდან ყოველდღე გამოდის 3,5 მილიონზე მეტი წიგნი 89 ენაზე. 1965 წელს წიგნების ტირაჟი




გაიზრდება 1 მილიარდ 600 მილიონ ეგზემპლარამდე და თვითეულ ადამიანის წილად მოვა დაახლოებით 8 წიგნი, ან ერთ ოჯახზე 30-40 წიგნი.

**1965 წლის ერთ წუთში** ჩვენი ქვეყნის ქალაქებსა და მუშათა დაბებში ახალ ბინებში გადასვლას იდღესასწაულებს 4 ოჯახი.

შვიდწლედის შედეგად კიდევ უფრო გაუმჯობესდება ჩვენი ხალხის საყოფაცხოვრებო პირობები. ამ ხნის მანძილზე აშენდება 650-660 მილიონი კვ. მეტრის ფართობის საცხოვრებელი სახლები. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ ამ ბინებს განვალაგებთ

ხუთსართულიან სახლებად ქუჩის ორივე მხარეს, ასეთი ქუჩა გაიჭიმება მოსკოვიდან ვლადივოსტოკამდე. ამ ოდენობის სახლებით შეიძლება აშენდეს 15 ისეთი ქალაქი, როგორიც მოსკოვია, 25 — როგორიც ლენინგრადია, 100 ისეთი ქალაქი, როგორიც თბილისია.

ერთი წუთის მნიშვნელობა კიდევ ერთხელ და ცხადად წარმოგვიდგება, თუ გავიხსენებთ, რომ ჩვენს სახალხო მეურნეობაში 1965 წლისათვის დასაქმებული იქნება 66,5 მილიონი კაცი, მარტო ერთ ცვლაში ერთი წუთის დაკარგვა შეადგენს დაახლოებით 100 ათასზე მეტი კაცის გამოუსვლელობას სამუშაოზე.

საინტერესოა, რა იწვევს ჩვეულებრივი წუთის ასეთ უსაზღვრო „გადიდებას“?




ჩვენს სახალხო მეურნეობაში სულ უფრო მატულობს შრომის ნაყოფიერების ზრდის ხარჯზე გამოშვებული პროდუქციის რაოდენობა.

შვიდწლედის განმავლობაში მრეწველობის საერთო პროდუქცია გაიზრდება 80%-ით. სამრეწველო პროდუქციის მატების სამი მეოთხედი 1965 წელს მიღებული იქნება შრომის ნაყოფიერების გადიდების ხარჯზე.

**რას ნიშნავს 1%-ით შრომის ნაყოფიერების გადიდება?**

თუ ჩვენი მეფოლადეები 1%-ით გაადიდებენ შრომის ნაყოფიერებას, 1965 წელს დამატებით მივიღებთ 900 ათას ტონა ფოლადს, რომლიდანაც დავამზადებთ 108 ათას ტრაქტორს, 300 ათას სატვირთო ავტომობილს, 300 უდიდეს ტურბოაგრეგატს და სხვ.

მეზრძმედეთა შრომის ნაყოფიერების 1%-ით გადიდება დამატებით მოგვცემს 700 ათას ტონა თუჯს, 700 ათას ტონა ნაგლინს. ამ რაოდენობის ნაგლინით შეიძლება გამოვუშვათ 50 ათასი ავტომობილი, 70 ათასი ტრაქტორი, 100 ათასი კომბაინი და ა. შ.

შრომის ნაყოფიერების ერთი პროცენტით გადიდება დამატებით მოგვცემს 5 მილიარდზე მეტ კვს ელექტროენერგიას, 5 მილიონ ტონაზე მეტ ქვანახშირს, 1 მილიონ ტონაზე მეტ ნავთობს, 5 მილიონ წყვილ ფეხსაცმელზე მეტს, 70 მილიონ მეტრზე მეტ ქსოვილს და სხვ.

1965 წელს წარმოებული სინთეზური ბოჭკოს 1% შეცვლის 4 მილიონ 150 ათასი ცხვრის ნაპარს მატყლს, ან 8 ჰექტარზე მოკრეფილ ბამბას.






წარმოებული პლასტმასის 1% დაზგათმშენებლობაში შეცვლის 80 ათას ტონა ლითონს და მოგვცემს 600 მილიონი მანეთის ეკონომიას.

შრომის ნაყოფიერების ზრდა განხორციელდება ტექნიკური პროგრესის მოწინავეთა გამოცდილების განზოგადებისა და ფართოდ დანერგვის გზით, შრომის მეცნიერული, რაციონალური ორგანიზაციის გზით.

პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით შთაგონებული ჩვენი ხალხი თავდადებით შრომობს მიმდინარე შვიდწლიანი გეგმის ვადამდე შესასრულებლად. თვითეულ ჩვენგანს თავისი წვლილი შეაქვს სსრ კავშირის ძირითადი ეკონომიური ამოცანის გადაჭრაში.

დაახლოებით 1970 წლისათვის ჩვენი ქვეყანა გამოვა პირველ ადგილზე მსოფლიოში არა მარტო გამოშვებული პროდუქციის საერთო მოცულობით, არამედ პროდუქციის წარმოების მხრივ ერთ სულ მოსახლეზე. ეს იქნება სოციალიზმის საყოველთაო ისტორიული გამარჯვება მშვიდობიან ეკონომიურ შეჯიბრებაში.

დღეს ყველა საღად მოაზროვნე ადამიანი ხედავს ამ გამარჯვების რეალურ საფუძვლებს. ერთ-ერთი ამერიკელი პროფესორი, გ. შვარცი, წერს, რომ დრო აქამდე „კომუნისტებს უკეთ ემსახურებოდა, ვიდრე, ჩვენ, და არ არის არავითარი გარანტია, რომ მომავალში საქმე სხვანაირად იქნება“.

ჭეშმარიტად — დრო ჩვენი მოკავშირეა!

ედუარდ ბაგრიცკი

# ტილ ულენშპიგელი

სამზარეულოს ღია კარებში
ბრუნავს და ფეთქავს მხურვალე ორთქლი
და მზარეულის ოფლიან სახეს
იმშრალებს ძველი წინსაფრის კალთით.
ხელში უჭირავს სპილენძის ხუფი
და იცქირება დაბურულ ქვაბში,
მერე ღონივრად ამოქაფებს ისევ
და ღუმელს ნახშირს უმატებს ნიჩბით.
მისი შეგირდი, პატარა ბიჭი,
თავზე ქაღალდის ცახცახა ჩაჩით,
ჯერ გამოუცდელ ხელებით ნაყავს
ათასგვარ ფესვებს, დარიჩინს, პილპილს...
და აცემინებს..
და სქელი ორთქლი
უვსებს ნესტოებს, ყურებს და თვალებს.
გარეთ კი ბრწყინავს ნათელი დილა
და უერთდება ქვაბების ჟღარუნს
მზით გალაღებულ მერცხლის ჭიკჭიკი,
კრუტუნებს, ტუჩებს ილოკავს კატა
და ეპარება ფრთხილი ნაბიჯით
ხორცის სისხლიან და მსუქან ნაჭერს,
ოი, გემრიელ კერძთა სამეფოვ!
ვის არ უქია ეს ლურჯი ორთქლი,
ეს ნაზი ორთქლი, თავს რომ ევლება
ოქროსფერ წვნიანს და ცვრიან მწვადებს.
მამალი ყივის... მამალიც აქებს
ამ ხელოვნებას, რთულს და მშვენიერს,
თუმცა არ იცის, რომ მზარეული
მასაც მიწვდება ადრე თუ გვიან...
მე მივაბიჯებ მზიან ქუჩაზე
და დაღლილ ნაბიჯს ვაყოლებ ლექსებს
და გახურებულ ზარივით რეკავს
გზააბნეული და მთვრალი თავი.
მე ვსუნთქავ ორთქლის საამო სურნელს
და მაგონდება ჩემი ძმობილი:
არაფრისმცოდნე, ყველაფრის შემძლე,
უიარაღო, მაგრამ რაინდი.
და ვფიქრობ იქნებ, ისიც ჩემსავით,
ისიც ჩემსავით სუნთქავდა იქნებ
სხვისთვის განკუთვნილ კერძების
სურნელს
და შაშხის ნაჭრით ალტყინებული
საკუთარ ტუჩებს ლოკავდა ხარბად.
დღე კი ბრწყინავდა და თბილი ქარი,
დედის ხელივით მსუბუქი ქარი
ეფერებოდა მის ჯიუტ ქოჩორს.
და მიყრდნობილი ვიღაცის კარებს
ზუსტად ჩემსავით, ზუსტად ჩემსავით
უსტვენდა ალბათ და იგონებდა
ჯერ არ არსებულ სიმღერის სიტყვებს.
რა გამოვიდა? დე, ჩემი ხვედრიც
იყოს წანწალი და უგზოობა.
დე, შიმშილს უკვე ტკივილამდე ქცეულს
ვიკლავდე სხვათა ქეიფის ცქერით.
დე, დაიძენძოს ჩემი სამოსი,
გადამეტყაოს ფეხები ქვებზე,
აღარც სიმღერას არ მოვიგონებ,
რადგან არაფერს არ ნიშნავს ისიც...
მე სულ სხვა მინდა, მეც იმ მწირივით
მთელ ქვეყანაზე მსურს ხეტიალი,
რომ დილის ბინდში ყველა კარებთან
გავიწკრიალო ტოროლასავით
და ჩემს სალამზე მჭახე ყივილით
მამლებმა მყისვე გამცენ პასუხი.
მე მეომარი უიარაღო
შევხვდები დღეებს, ვით ნათელ თასებს
პირამდე სავსეს რძითა და თაფლით.
და როცა დაღლას იგრძნობს სხეული
და დაიძინებს მარადი ძილით
დე, ამოკვეთონ საფლავის ქვაზე,
თუ ჩემს საფლავზეც იდება იგი, —
კოპიტის კვერთხი ჩიტების ზემოთ
და ძველი ქუდი ფართო ფარფლებით
და დააწერონ: „აქ განისვენებს
მწირი, უბრალო და მხიარული“.
მგზავრო! თუ მართლა გიყვარს ბუნება,
თავისუფლება და სიმღერები
მითხარი ასე: „ჩემო ძმობილო,
შენ ახლა მართლა გეკუთვნის ძილი!“

თარგმანი ოთარ ჭილაძისა

# ჩვენი დროის მეხრე-გუთნისდედები

**გიორგი ჩაჩანიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

1

ჩვენი დროის მეხრე-გუთნისდედები როდი გვანან ძველი დროის უწიგნურ ღამის მეხრეებს, ტლუ ბიჭებს, რომლებსაც ბევრს არაფერს კითხავდნენ. ტრაქტორისტი ახალი სოფლის ახალი ადამიანია. უფრო მეტი, მეხრეებიცა და გუთნისდედებიც არიან ტრაქტორისტები — საკოლმეურნეო სოფლის მექანიზატორები, რომელთა შრომას დამსახურებულ პატივითა და დიდებით მოსავს მადლიერი საბჭოთა ხალხი.

აბა, კეთილი, ინებეთ და მიბრძანდით ჩვენი რესპუბლიკის პურის ბეღლად წოდებულ შირაქის ველზე და იკითხეთ: ამ კუთხეში ვინ არის ცნობილი და გამოჩენილი კაციო, პირველი შემხვედრი აუცილებლად არხილოსკალოელ გიორგი თინაშვილთან მიგასწავლით.

— ჩვენი გოგია, — გეტყვიან სოფელ არხილოსკალოს კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში, — ამას წინათ სტუმრად ეწვია გამოჩენილ მექანიზატორს, საკოლმეურნეო წარმოების კომპლექსური მექანიზაციის ერთ-ერთ ინიციატორს ნიკოლოზ მანუკოვსკის, გაეცნო მის მუშაობას და გადაწყვიტა — რადაც უნდა დაუჯდეს — ტოლი არ დაუდოს შრომასა და წარმატებაში თავის რუს მეგობარს. გოგია თინაშვილის იმედი გვაქვს, იგი არ გვიმტყუნებს, თუ არ გადააჭარბა, პირნათლად მაინც გამოვა თავის თანამოსაქმესთან შეჯიბრებაშიო.

გიორგი თინაშვილი პირველი თავკაცია წითელწყაროს რაიონის სოფლის სატრაქტორო ბრიგადაში რომელშიც თექვსმეტი მექანიზატორია ერთი მიზნითა და ერთი მისწრაფებით გაერთიანებული. ექვსი ტრაქტორი, ხუთი კომბაინი და დიდძალი სხვა ტექნიკა აბარია ამ ახალგაზრდებს. არხილოსკალოელმა მექანიზატორებმა შვიდი ათასის ნაცვლად ათი ათასი ჰექტარი მიწა დაამუშავეს, 17 ტონა საწვავი და ექვსი ათას მანეთზე მეტის სათადარიგო ნაწილები დაუზოგეს კოლმეურნეობას. გიორგი თინაშვილის ბრიგადის მექანიზატორებმა შარშან ათასამდე ჰექტარზე ხორბალი ისე დათესეს და ბარაქიანი მოსავალი ისე აიღეს, რომ კოლმეურნეობას მუშახელის გამოყენება არც კი დასჭირებია.

მართალია, გიორგი თინაშვილი სიტყვაძვირი, უთქმელი კაცია, მაგრამ მის საქმეს რაღა ლაპარაკი უნდა! აღებული მოსავალი თავისთავად მეტყველებს თინაშვილისა და მისი ბრიგადის სასახელო საქმეებზე. ამ ათასი ჰექტარიდან თვითეულ ჰექტარზე ოთხნახევარი ცენტნერით იმაზე მეტი ხორბალი აიღეს, რაც გეგმით ჰქონდათ გათვალისწინებული. ესე იგი, მთელ ფართობზე 4.600 ცენტნერი ხორბალი გეგმის გადამეტებით! — თუ მექანიზატორმა თავისი ხუთი თითივით არ იცის — სად, რომელი ნაკვეთი, როდის და როგორ, რა სიღრმეზე მოხნას, სად ნაღარა ნახნავი სჯობია და სად ნაზურგი, თუ ეს და ბევრი სხვა რამ არ იცის, მარტო აგროტექნიკაში ამოკითხული როდი გამოადგება! აბა განსაჯეთ: განა როდის ყოფილა, რომ ერთი წელიწადი ზუსტად გავდეს მეორეს, ერთი თვე ისეთივე იყოს, როგორიც მეორე. ასევეა ნაკვეთებიც. ერთი მიწა-ალაგი მეორეს არა ჰგავს, ხოლო მესამე ნაკვეთი ორივესაგან განსხვავდება, არც მეოთხეს ჰგავს. აქ, ასეთ ვითარებაში, ბევრი რამაა დამოკიდებული მექანიზატორზე, მის ცოდნა-გამოცდილებაზე, მოსაზრებულობაზე. ხომ ცნობილია, რომ წიწილებს შემოდგომით ითვლიან.

— მოსავალიც შემოდგომაზე იწონება და იზომება და, რაკი კომპლექსური მექანიზაცია მთლიანად ჩვენა გვაქვს დაკისრებული, ჩვენზეა დამოკიდებული მოსავლის ბედიც.

შრომისადმი ასეთმა შემოქმედებითმა მიდგომამ წითელწყაროს რაიონის სოფელ არხილოსკალოს კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში უზრუნველჰყო სიმინდის, საკვები ჭარხლის, მრავალწლიანი ბალახებისა და სხვა კულტურების უხვი მოსავალი.

ნიკოლოზ მანუკოვსკისთან გაფორმებული სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულებაში არხილოსკალოელი მექანიზატორების მეთაურმა ჩაიწერა: წელს კომპლექსური მექანიზაცია განახორციელონ 200 ჰექტარი სიმინდის, 150 ჰექტარი მზესუმზირის ნათესებში, ჩადონ რვა ათასი ტონა სიმინდის სილოსი, მეძროხეობისა და მეღორეობის ფერმებში მოაწყონ შრომატევად სამუშაოთა მექანიზაცია, დაზოგონ 20 ტონა საწვავი და ათი ათასი მანეთის სათადარიგო ნაწილები. ასეთივეა ნიკოლოზ მანუკოვსკის სოციალისტური ვალდებულებანიც.

ორივე კოლმეურნეობა ამ შემოდგომაზე დაითვლის ორივე მექანიზატორის მიერ გამოზრდილ „წიწილებს“ და არც აქ, არც იქ, ეჭვი არავის ეპარება, რომ ეს „წიწილები“ საკმაოდ მრავალრიცხოვანი იქნება.

2

შავტუხა ბიჭებიდან, რომელთა ვაჟკაცურ სახეს მზე ოდნავ მოჰკიდებია, შეიძლება ბევრს არც კი ენახოს ნამდვილი ზღვა და გემი, ისინი კახეთის მადლიან მიწა-წყალზე აღიზარდნენ და აქვე მოიპოვეს საკოლმეურნეო მინდვრების ხომალდების „კაპიტნის“ საპატიო წოდება. მათმა მეთაურმა, გიორგი ბექუაშვილმა კი ბრიგადირობასა და „კაპიტნობას“ იმით მიაღწია, რომ ჯერ აგრონომიული ტექნიკუმი დაამთავრა, მერე წულუკიძის მექანიზაციის სასწავლებელი და ახლა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მექანიზაციის ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების მესამე კურსის წარჩინებული სტუდენტია.



თელავის სარემონტო-ტექნიკურ სადგურში, რომელმაც რესპუბლიკაში ერთ-ერთმა პირველმა წარმატებით დაამთავრა გასული სამეურნეო წელი და იბრძვის შვიდწლედის მეორე წლის დავალებათა ასევე დიდი წარმატებით შესრულებისათვის, მეტად უმადლიან ამ „კაპიტნებს“. მათ არ აშინებთ და არ აფერხებთ არც გორაკ-ბორცვებიანი ადგილები, არც ბუჩქნარები, ისე მწყობრად დაჰყავთ თავიანთი ხომალდები და იმდენს ამუშავებენ, რომ ხალხიც მადლიერი ჰყავთ, თვითონაც კმაყოფილნი არიან, რაც მთავარია, მათს ნაკვალევზე ყოველთვის [illegible] — ჯეჯილი იქნება ეს, თუ ძირკურთხეული ვაზი.

ამ შვიდწლედში 3.500 ჰექტარი ახალი ვენახი უნდა შეემატოს აქაურ საკოლმეურნეო ზვრებს. საამისოდ ასათვისებელია დიდძალი ყამირი და ბუჩქნარით დაფარული მიწები. ასეთ მიწებს ხარებითა და ხის გუთნით ვერ აითვისებ. ამიტომ კოლმეურნეობები ხშირად მიმართავენ თელავის სარემონტო-ტექნიკურ სადგურს: დაგვეხმარეთ, მავან და მავან ალაგას ბუჩქნარი ამოგვიძირკვეთ, სავენახედ პლანტაჟი გაგვიკეთეთო.

და კოლმეურნეობებში თავიანთი „მინდვრის ხომალდებით“ მყისვე გაჩნდებიან ყველაფრით აღჭურვილი და შეიარაღებული კაპიტნები — ვახტანგ რუსიშვილი და ვალერიან ზაალიშვილი, აკაკი შოშიაშვილი და სერგო ბოტკოველი, რომლებმაც ზედმიწევნით ზუსტად შეისწავლეს „რკინის ხარების“ მეხრეობა-გუთნისდედობა.

თელაველი მექანიზატორები ყველგან სასურველი სტუმრები არიან, ყველგან საშვილიშვილო საქმეს აკეთებენ თავიანთი მძლავრი რკინის ხარებით ს-80-ით, ს-100-ით, პირველხარისხოვანი მანქანებით, რომლებიც, მართლაც, კარგად გახედნილი ხარებივით ემორჩილებიან მესაჭეებს.

სოფელ კურდღელაურის ენგელსის სახელობის კოლმეურნეობაში, სოფელ რუისპირის კოლმეურნეობა „ყურძენ-თავთავში“, სოფელ აკურას კოლმეურნეობა „მოწინავეში“, შალაურის, ლაფანყურის, კავკასიონის ქედის კალთებზე შეფენილი სოფელ ლეჩურის, სოფელ იყალთოს და სხვა კოლმეურნეობებში მადლობით ახსენებენ ამ ახალგაზრდა ადამიანებს, რომლებმაც თავიც ისახელეს და მშობლიურ სარემონტო ტექნიკურ სადგურსაც შორს გაუთქვეს სახელი.

„ახლა მექანიზაციის ხანაა, დადგა დრო, როცა ყველა სამუშაო ადამიანის ხელის ნაცვლად მანქანებმა, მექანიზმებმა უნდა შეასრულონ“, — ერთსულოვნად აცხადებენ თელაველი მექანიზატორები და ხელებდაკაპიწებული მუშაობენ, რათა პირნათლად განახორციელონ ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის ახალი აღმავლობის დიდებული პროგრამა.

# მშენებელთა ოჯახი მოდის



ეროვნული ბიბლიოთეკა

**უშანგი ზარექიძე**

არ დაიშალა ნადია ომერიძემ, ნიჩაბს მოჰკიდა ხელი, მამაკაცებს მხარში ამოუდგა და ქალური შემართებით ეკვეთა მძიმე, მაგრამ საპატიო საქმეს.

ოცი წლის წინათ გამართული პაექრობა ახლა ოჯახში, ქართული პურ-მარილით გავსებულ სუფრასთან გაიხსენეს და ყველამ გულიანად გაიხარა. ეს სიხარულისა და ბედნიერების სიცილი იყო; ბედნიერებისა, რომელიც ნადიამ თავისი ღონიერი მარჯვენით მოიმკა.

მართლაც და, რა იქნებოდა მაშინ ქმრისათვის რომ დაეჯერებინა? ნადია ისეთივე დიასახლისად დარჩებოდა, როგორიც გათხოვების პირველ დღეებში იყო — შვილების მოვლა, სადილზე ზრუნვა, სარეცხი. დღეს კი... დღეს ნადია ჩვეულებრივი დიასახლისი როდია! იგი სახელოვანი ქალია. მასზე წერენ ჟურნალ-გაზეთებში, წიგნებში, გადმოსცემენ რადიოთი. ახლა ნადიას აღარ ემდურება აღარც ქმარი, აღარც ძმები და არც შვილები. ყველამ დაინახა, რომ ნადია მართალია, რომ შრომა ჩვენს ქვეყანაში უპირველესი ჯილდოა, უპირველესი სახელი და პატივი.

აი, საბუთიც!

ბუთხუზა ელგუჯა ბებია ნადიას კალთაში უზის და თათებით ბრჭყვიალა ვარსკვლავს ეპოტინება. ეს ის ვარსკვლავია, რომელიც ნადია ომერიძეს საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა გიორგაძემ გადასცა ქალთა საერთაშორისო დღის 8 მარტის 50 წლისთავთან დაკავშირებით, მშენებლობაზე ხანგრძლივი და უმწიკვლო მუშაობისათვის.

თვალი გადაავლეთ ჩვენ კეკლუც თბილისს! ვინ იცის, რამდენი ლამაზი ნაგებობა წამოჭიმულა მის დამამშვენებლად. ახალი შენობა ხომ არქიტექტორის ახალი აზრია, ახალი ჩანაფიქრი! მაგრამ არ შეიძლება აქვე არ გავიხსენოთ მშენებელთა თავდადებული არმიაც, რომელმაც უშუალოდ ჩაჰბერა სული ამ სილამაზესა და სიკეკლუცეს.

„ეს ჩემი სახლიაო," — იტყვის არქიტექტორი. „ეს მე ავაშენეო," — იტყვის მშენებელი.

გულგრილად არც ნადიას შეუძლია ჩაუაროს თავის ნახელავს! თბილისის ქუჩებზე, ხიდებსა და სახლებზეა დაწერილი მისი ბიოგრაფია. აი, ჩელუსკინელთა ხიდი, პირველი კაპიტალური ხიდი ჩვენს ქალაქში.. გარჯამოწყურებული ნადია ნიჩაბს აბრუნებს, ცემენტსა და ქვიშას ყრის ბეტონმრევის ქვაბში. ბეტონის არევას თავისი მტკიცე წესი აქვს. ზუსტი დოზირების გარეშე ბეტონის ნაცვლად ფაფა შეგრჩება ხელში. ამას ცოდნის გარდა თავისებური ინტუიციაც ესაჭიროება, რაც ესოდენ უხვად აღმოაჩნდა ნადია ომერიძეს. ნადიას პირველი მასწავლებლები, ინჟინერი შალვა შენგელია და მებეტონეთა ბრიგადირი გიორგი ბურდული აღფრთოვანებული არიან მუშა ქალის მუყაითობით.

სტალინის სახელობის სანაპირო, ოდესღაც ჭაობი იყო, რომელიც უსუფთაობასა და სნებას ავრცელებდა ქალაქში. ნადიამ იგრძნო, რომ სანაპიროს მშენებლობით საშვილიშვილო საქმეს ეყრებოდა საძირკველი. ამიტომ იგი ხალისით ჩაება მდინარის ჯებირის დაბეტონების სამუშაოებში. ახლა, წალკოტად ქცეულ სანაპიროს თვალს რომ გადაავლებს, სიხარულით ევსება გული; ვინ იცის, რამდენი კუბომეტრი ბეტონი აქვს ჩასხმული საკუთარი ხელით.

მშენებელმა ქალმა მალე გაითქვა სახელი და ხელმძღვანელთა ნდობა მოიპოვა. ყველაზე უფრო საპასუხისმგებლო სამუშაოებზე ნადიას აგზავნიდნენ.

როცა თბილმშენის მთავარ სამმართველოს მამადავითის მთაზე სატელევიზიო კოშკურის აგება დაევალა, კოშკურის საძირკვლის დასამზადებლად ნადია ომერიძის ბრიგადა იქნა გადაყვანილი. ასეთმა ნდობამ ახალგაზრდულად აუჩქროლა გული ნადიას! „ნადიას ბეტონი" კოშკურას კი არა, მთელ მთაწმინდას დაიკავებსო, ხუმრობდნენ მშენებლები.

ამჟამად ნადია ომერიძე თბილმშენის მე-6 სამშენებლო სამმართველოში მუშაობს. ზემო ნავთლუღში, უკვე მესამე წელია, რაც აშენებს ხუთ და ექვს სართულიან სახლებს. ნადიას კომპლექსური ბრიგადის წევრები დგამენ ფიცრის ყალიბებს, ასხამენ ბეტონს, ტკეპნიან, ურევენ ცემენტის ხსნარს და აწყობენ კალატოზებს. ბრიგადა მოწინავეა და ნორმებს ყოველთვის ორმაგად ასრულებს.

* * *

იმ მრავალ ჯილდოსა და სიგელთა შორის, რომლებიც ომერიძეების ოჯახში ინახება, ზოგიერთი ნადიას შვილებს ვალიკოსა და შოთას ეკუთვნის.

— ენაცვალოთ დედა! — ხშირად ამბობს ნადია, — ჩემი შვილები ჩემს გზას თუ არ გაჰყვებოდნენ, როგორი ჩემი შვილები იქნებოდნენ!

ვალიკოც და შოთაც დედასთან ერთად მუშაობენ მე-6 სამშენებლო სამმართველოში, ვალიკო—მლესავად, ხოლო შოთა—კალატოზად. დედა და შვილები ერთმანეთს ეჯიბრებიან მუშაობაში და წარმატებასაც აღწევენ.

— მშენებელთა ოჯახი მოდისო! — იტყვის ხოლმე სამმართველოს მთავარი ინჟინერი ზურაბ წულუკიძე, როცა რიჟრაჟზე ერთად მომავალ ნადიას, ვალიკოს და შოთას მოჰკრავს თვალს.

ომერიძეებს სწამთ, რომ კეთილშობილ სახალხო საქმეს ემსახურებიან, თავიანთი წვლილი შეაქვთ შვიდწლიანი გეგმით დასახული მიზნის განხორციელებაში, როცა საბჭოთა კავშირის მთელი მოსახლეობა უზრუნველყოფილი იქნება კეთილმოწყობილი ბინებით.

# მარხილი

**ჭ. ამირეჯიბი** — მოთხრობა — ნახ. ზ. წერეთლისა

მშრალი, უჩუმარი ყინვა იდგა. აღმოსავლეთი უკვე შეევარდისფერებია ამომავალ მზეს.

თვალისმომჭრელად ბზინავდნენ ფიჭვების კენწეროები, თუმცა მზე ჯერ არ დაჰკარებოდა სითეთრეს. სათითაოდ ციმციმებდნენ უთვალავი წინწვები, თითქოს სილამაზეში ედავებოდნენ ერთმანეთს. ათასობით შტამბს ერთი ვეება, მძლავრად მოციალე გვირგვინი ედგა.

ტყეში ჩაწოლილი ბინდბუნდი აყრას აპირებდა. სდუმდა თოვლის ფთილებით დატვირთული უღრანი.

ვიწრო განაკაფზე გზა იყო, ცხენის ფლოქვებითა და მარხილის ციგურებით ჩატკეპნილ-გალიპული.

გზაზე მარხილი მისრიალებდა. ხელნებში მაგარი ცხენი ატოკებდა გავას. ალბათ საგრძნობი მანძილი ჰქონდა გამოვლილი, რომ წვივებზე ლოლუები ეკიდა. მარხილი მუყაოს ყუთებით იყო დატვირთული. კოფოზე წაფელი იჯდა სადავეებით ხელში და გზას გასცქეროდა, მარხილის ბოლოშიც იყო



კაცი. იგი ვეებერთელა ტყაპუჭში გახვეულიყო და მხოლოდ ორთქლის მიხედვით შეიძლებოდა მიხვედრა, თუ სად ედო თავი, სად ფეხები. ცხენის ფლოქვების თქარუნს ციგურების ხრიალი ერთვოდა და მარხილი გზების მხიარულ, მხნე სიმღერას ამბობდა.

—ისეთი პირი უჩანს ამ საქმეს, რომ საღამომდე ვერ მივაღწევთ, — თქვა კოფოზე მჯდარმა წაფელმა, — ხელი როგორა გაქვს?

— მიღოღავს წყეული! — მოისმა ტყაპუჭიდან. — გაუჯავრდი!

— რა თქვი? — უპასუხა წაფელმა.

ტყაპუჭი გადაიწია, ჯერ შეხვეული ხელი გამოჩნდა, მერე — ახალგაზრდა კაცის სახე.

— გაუჯავრდი, მაგ სამგლეს! — ისროლა მან ცხარედ. — ასე ვერაფერს მოვასწრებთ! — ტყაპუჭმა კვლავ დაფარა იგი.

— დაღლილია ცხენი, გაფუჭდება.

ისევ გადაიწია ტყაპუჭი და ისევ გაისმა ცხარედ, დაჟინებით:

— შენ მუდამ ასე იცი, სულ ჩქარობ და ჩქარობ. ბოლოს, დაიგვიანებ. ვერც კინოსურათს მიუსწრებ, ვერც დასთან გადახვალ. ერთი ეს ხელი არა მტკიოდეს... ჰა, გასწი, შე, ჯაგლაგო, შენა, რას მიეთრევი! — შეუტია მან ცხენს და ისევ ტყაპუჭს ქვეშ მოექცა.

ლაპარაკი შეწყდა. ფლოქვების ცემამ და მარხილის ხრიალმა იმძლავრა.

წაფელი გზას გასცქეროდა ცნობისმოყვარეობით.

შორიახლოს ორი ქალი გამოჩნდა.

ორივემ შეჩერება ანიშნეს. წაფელმა სადავეებს მოსწია. მარხილი დადგა.

— რაშია საქმე? — კვლავ მოისმა ტყაპუჭიდან.

— მგზავრებია, — მიუგო წაფელმა.

— ვინ მგზავრები? — ტყაპუჭი შეირხა.

— ვინ?... ქალები, ორი ქალი.

ტყაპუჭი გადაიღელა. ვაჟი წამოჯდა. მისი გამომეტყველება ცხოველ ინტერესს მოწმობდა და თითქოს შეწყვეტილი ფიქრი ხმამაღლა დაამთავრაო, ცნობისმოყვარეობით იკითხა:

— ქალები? — თუმცა კი სრულიად ზედმეტი იყო ეს, ვინაიდან უკვე დაკვირვებით ათვალიერებდა შემხვედრებს.

ერთი მათგანი მოხუცებული იყო. დანაოჭებული სახე, ჭაღარა თმა, წელში მოხრილი — სამოცს გადაცილებულის შთაბეჭდილებას სტოვებდა. ტანზე მოძველებული ხიფთანი ემოსა. ფეხთ ასეთივე ღირსების ჩექმები. მოზრდილი ზურგჩანთა ეკიდა, უთუოდ მძიმე, რადგან თასმები ღრმად ჩასჭდობოდა მხრებში. მეორე ოციოდე წლის ქალიშვილი იყო. ტანადი, თვალადი, ცოტათ მოხდენილად ჩაცმული, პაწაწა ჩემოდნით ხელში. ყინვით შეფაკლულ ლაწვზე შავი ხალი აჯდა. დიდრონი თვალები ჰქონდა და კრაველის ჩატეხილი ქუდი მართლაც ძლიერ უხდებოდა.

მარხილში მჯდომ ვაჟს ერთბაშად მოხვდა თვალში ქალიშვილის გარეგნობა. იგი უშუალო, დაუფარავი აღტაცებით შესცქეროდა ქალიშვილს. კადნიერებად მიიჩნია ქალიშვილმა ვაჟის გაბედული, შეუნიღბავი აღტაცება. თვალებში ნისლი შეუდგა. სიფრთხილის ნაპერწკალმა დაუარა სახის ნაკვთებში, მაგრამ თვალი არ გაურიდებია მაინც.

დედაბერმა ქალიშვილს შეხედა. დაინახა, რომ იგი ხმის დაძვრას არ აპირებდა და თვითონ მიმართა მარხილში მჯდომთ:

— ბიჭებო, დაგვსხით, როგორმე მე ასმეთექვსმეტემდე, ქალიშვილი ასმეშვიდემდე. ასმეშვიდემდე, მგონი, არა? — გაესაუბრა იგი ქალიშვილს.

კბილები დასცვენოდა დედაბერს, ერთიღა მოუჩანდა ზემო ღრძილზე.

ამ სანახაობამ ისე იმოქმედა ვაჟზე, როგორც წარმტაც ჰანგში შემოჭრილმა გარეშე ღრჭიალმა. იმდენად თბილი და ფაფუკი იყო ქალიშვილის ჭვრეტით აღძრული განწყობილება, რომ დედაბრის უკბილო ღრძილების დანახვისთანავე მოეშალა გუნებაც, გამომეტყველებაც, მაგრამ გადახედა თუ არა ქალიშვილს, უმალვე შეეცვალა ხასიათი.

— დაგვსხით როგორმე, — კვლავ შესთხოვა მოხუცმა. — რა გაივლის თხუთმეტ კილომეტრს ტვირთით, ამ ყინვაში!

მარხილში მჯდომი მიხვდა, რომ საკუთრივ მისგან ელოდნენ პასუხს. ჯერ დედაბერს შეხედა, მერე წაფელს, რჩევისათვის. უკანასკნელმა ანიშნა: ვიფიქროთ, ვნახოთ, რატომაც არ უნდა დავსხათ, თუ კი შეიძლება. მაშინ ტყაპუჭზე მჯდომი ზეზე წამოდგა და მარხილი შეათვალიერა.

მარხილი პირთამდე იყო დატვირთული, მხოლოდ მის გვერდით თუ დაეტეოდა როგორმე ერთ-ერთი ქალთაგანი, თორემ სხვაგან ბალღიც კი ვერსად მოთავსდებოდა.

ვაჟის თვალებში დაბნეულობამ იჩინა თავი.

— წყეული! — წარმოთქვა მან, — არც ადგილია და ცხენიც ვერ მოგვერევა. არა, ერთ-ერთი მაინც მოთავსდება. — სახე გაუნათლდა, თითქოს მხსნელი აზრი ეწვიაო, და უმალ ტყაპუჭის მორგებას შეუდგა — აი აქ! მობრძანდით, დავეტევით როგორმე.

მან ქალიშვილს შესთავაზა ხელი.

ქალიშვილმა ღიმილით უპასუხა მიპატიჟებაზე, გამოწვდილ ხელს წაეტანა, მოხდენილად შეხტა მარხილზე და ვაჟის დახმარებით გაფენილ ტყაპუჭზე დაეშვა. მის მიხვრა-მოხვრასა და ღიმილში სიამოვნება იგრძნობოდა. მაგრამ თავაშვებული, ან თამამი კი არა — შეკავებული, თავაზიანი. ვაჟიც უაღრესად კმაყოფილი იყო. ტყაპუჭს უმარჯვებდა, იღიმებოდა, დასაჯდომად ემზადებოდა.

წაფელი ერთ ხანს გამახვილებული ყურადღებით გადმოჰყურებდა კოფოდან ქალ-ვაჟის ფუსფუსს. მერე დედაბერს გადახედა.

მოხუცმა ქალმა უკანასკნელად შემოავლო თვალი იქაურობას, წამით ახალგაზრდებზე შეჩერდა, მზერა გაარიდა მარხილს და ფიქრს მიჰყვა. სასოწარკვეთილებამ მოიცვა იგი. თვალებში ღრმა სევდა შეუდგა, შემდეგ სინანული აუციალდა.

ცხენმა თავი მოაბრუნა და დედაბერს შემოხედა.

— წავედით! — უდარდელად ესროლა მარხილში მჯდომმა ვაჟმა წაფელს.—სად მუშაობთ? ამ მხარეებში არსად შემხვედრიხართ! — გაესაუბრა იგი ქალიშვილს. ისინი მჭიდროდ ისხდნენ. ვეება ტყაპუჭი საიმედოდ ფარავდა ორივეს. ხალისიანად იღიმებოდნენ.

— ქალიშვილო! — მოისმა კოფოდან წაფელის ხმა. ქალ-ვაჟმა მყისვე გახედეს მას.—ცხენის მართვა შეგიძლიათ? — იკითხა წაფელმა ალერსიანად. ქალიშვილმა გადამეტებული კეთილმოსურნეობა იგრძნო და ერთგვარი გაოგნებით მიუგო წაფელს:



# კონსტანტინე ჭიჭინაძე

გარდაიცვალა კონსტანტინე ჭიჭინაძე—გამოჩენილი ქართველი პოეტი, შესანიშნავი მთარგმნელი და ლიტერატურის მკვლევარი.

იგი ჯანღონითა და სიცოცხლის ხალისით სავსე წავიდა ჩვენგან და თან წაიტანა შემოქმედებითი შრომისა და ბრძოლის დაუმცხრალი წყურვილი.

თავისი თაობის ცოცხალ პოეტებს შორის იგი ბერმუხასავით იდგა გაუტეხელი და უჯიათი, დინჯი, მაგრამ ზოგჯერ ფიცხიც.

აგერ ნახევარ საუკუნეზე მეტ ხანს მღეროდა და თავდადებით ილვწოდა იგი ქართულ მწერლობაში. მისი პოეტური შედევრები კარგა ხანია დამკვიდრდნენ ახალი ქართული პოეზიის მიღწევებში და სავალდებულონი გახდნენ ჩვენი დროის პოეზიის ნიმუშთა კრებულებისთვის.

ბევრი მისი ლექსი ჩვენ გვხიბლავს დიდი პოეტური ენერგიით, თავისებური ელვარებითა და ღრმა ორიგინალობით.

პოეზიაში იგი უფრო კლასიცისტი იყო.

ახალი ქართული სალექსო კულტურის დამკვიდრებაში მას თავისი მნიშვნელოვანი წვლილი ჰქონდა შეტანილი და სიკვდილამდე ხმალამოღებული იბრძოდა აზრის სინათლისა და ფორმის სინატიფისათვის.



იგი არ იყო ტრიბუნი პოეტი, ფართო აუდიტორიებისა და პოპულარობისათვის ბრძოლას იგი ჩამჯდარ კაბინეტურ შრომას არჩევდა და თავის დაკმაყოფილებას პოეზიის ჭეშმარიტ დამფასებელთა წრეში ეძებდა.

მაინც ბევრი მისი შედევრი («რიონის აპოლოგია», «ვარძიის წყარო», «თმოგვის ციხე», და სხვა) დიდი ხანია გასცდა ამ ვიწრო წრეს და ჩვენი ხალხის საერთო სულიერ სალაროში დამკვიდრდა.

კონსტანტინე ჭიჭინაძეს დიდი პოეტური გზნებითა და მამულიშვილური გატაცებით უყვარდა თავისი ხალხი და სამშობლო. ეს წმინდა და დიდი სიყვარული იყო ის შთაგონება, რომელიც მთელ მის ცხოვრებასა და შემოქმედებას ანათებდა და წარმართავდა.

კ. ჭიჭინაძემ თავისი ნიჭის ბრწყინვალება არა მარტო ორიგინალურ შემოქმედებაში გვაჩვენა. მან მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ჩვენი დროის მთარგმნელობითი კულტურის ამაღლებაში და მაღალმხატვრული თარგმანის არა ერთი ნიმუში დაგვიტოვა.

კ. ჭიჭინაძემ თავის დროზე ახალი და ორიგინალური სიტყვა თქვა ჩვენს რუსთველოლოგიაშიც და იგი ბოლომდე დარჩა რუსთაველზე შეყვარებულ რაინდად.

კ. ჭიჭინაძე იყო ტიპი ჩვენი საუკუნის მწერლისა— იგი ბევრს მუშაობდა და ბევრს ფიქრობდა, ცდილობდა მდგარიყო ჩვენი დროის მიღწევების სიმაღლეზე, სწერდა ყველაფერს დიდი პასუხისმგებლობითა და თავის თავისადმი მომთხოვნელობით.

იგი ახალგაზრდასავით სიცოცხლითა და შრომით გაუმაძღარი წავიდა ჩვენგან, მაგრამ არა მარტო ჩვენს გულებში აღბეჭდა ღრმა ხსოვნა, არამედ ჩვენს მწერლობაშიც ღირსეული კვალი დასტოვა.

ვ. ა.

---



— შემიძლია!

— მაშინ გადმოჯექით კოფოზე... ძლიერ გთხოვთ! — წაფელი მარხილიდან ჩახტა და სადავეები გაუწოდა ქალიშვილს. მის სახეზე თხოვნა, ბოდიში და უხერხულობის გრძნობა იყო აღბეჭდილი. ქალიშვილი დაიბნა. უთუოდ არ ეპაშნიკა თბილი ტყაპუჭიდან კოფოზე ასვლა.

— რატომ?! — შეედავა მარხილში მჯდომი ვაჟი, — რა საჭიროა?—დასძინა მან და ხელით დასწია წამოსადგომად გამზადებული ქალიშვილი.

— გავითოშე. მე ფეხით გამოვყვები. — ახლა უკვე დაჟინება ისმოდა წაფელის სიტყვებში, მაგრამ ღიმილი და თხოვნის გამომეტყველება კი არ მოუშლია. მან იგრძნო, რომ ვერც განმარტება და განმეორებითი თხოვნა აღმოჩნდა საკმარისი ამხანაგის დასაყოლიებლად. მაშინ გაჯავრდა და მტკიცე კილოზე დასძინა: — ქალიშვილი კოფოზე დაჯდება, თბილად აცვია. ბებო — შენთან ერთად, ტყაპუჭში არ შესცივდება. უნდა წავიყვანოთ, უეჭველად... შორი გზა აქვს... ტვირთიც.

ქალიშვილს მეხივით ჩაესმა ყურში წაფელის სიტყვები: ვაჟს სასტიკად «უხერხულა». ორივემ დედაბერს მიაპყრო თვალი. ქალიშვილი წამოჭარხლდა და დაიბნა. წაფელსაც ეუხერხულა.

მოხუცი შექმნილმა ვითარებამ შეაკრთო. „ღირს განა ჩემი გულისათვის ამ ახალგაზრდა ადამიანების შეშფოთებაო“, — ამბობდა თითქოს მისი გამოხედვა. იგი შეძრწუნებული იყო, რომ სწორედ მისი მიზეზით დაიძაბა ესოდენ მხიარული, თბილი და გულითადი განწყობილება ახალგაზრდა ქალ-ვაჟისა. ტვირთითა და ხნოვანებით მოხრილი წელი, დანაოჭებული სახე და შემკრთალი იერი სიბრალულსა და უსაზღვრო თანაგრძნობას იწვევდა.

ქალიშვილმა კვლავ წამოიწია. ამჯერად მეტის სიმტკიცით, ვიდრე პირველად. აღარც ვაჟის ხელმა დააძალა დაჯდომა. ზეზე ადგა და მარხილიდან ჩამოსვლა დააპირა.

— არა, შვილო, იჯექი... სანამ ახალგაზრდა ხარ, ფეხით სიარული სიბერეშიც გეყოფა, — მიმართა მოხუცმა ალერსიანად, სევდიანად და წასასვლელად გაემართა. ქალიშვილმა მარხილიდან იხკუპა და მკლავში სტაცა ხელი დედაბერს.

— მე... ეს არ მინდოდა... გეფიცებით. დაუფიქრებლობით მომივიდა, — ცრემლმომდგარი ხმით შეემუდარა ქალიშვილი, — თბილად მაცვია, არც ბარგი მაქვს.. ხუთიოდე კილომეტრი ჩემთვის არაფერია. მართლა! მე ფეხით წავალ. ჩაჯექით, ჩაჯექით!

— რატომ? — ჩაერია კოფოდან ჩამოსული წაფელი,—ყველანი დავეტევით. მე... გავითოშე...

— არა, გმადლობთ! — შეაწყვეტინა ქალიშვილმა. — ნახვამდის, ამხანაგებო!

ვაჟებმა მიმავალს გააყოლეს მზერა. მოხუცი შეწუხდა და თავი ჩაქინდრა. ჩამოწვა მძიმე და უხერხული სიჩუმე.

— ეს რა ჩაიდინე! — ეტაკა მარხილში მჯდომი წაფელს და როდესაც უკანასკნელმა შემკითხავად უპასუხა, „მაშ როგორ უნდა მოვქცეულიყავი, რას მიედ-მოედებით“, მოტყდა და ყოყმანით დასძინა, — არა, საერთოდ სწორეა, მაგრამ ასე მკვახედ...

— უკეთესად ვერ მოვახერხე, — მიუგო წაფელმა მშვიდად. ისევ იყუჩა და ახლა უფრო მხნედ და იმედიანად დასძინა,—არაფერია! ყველაფერი გამოსწორდება. აბა, მომეცი აქ, ბებიკო!...

მან თითქმის ძალისძალად ჩამოართვა დედაბერს ჩანთა, კოფოზე მოათავსა, მერე მარხილში ასვლა უშველა. მოხუცებული დაჰყვა, მაგრამ უსიამოდ, სურვილის წინააღმდეგ, თითქოს სინდისის ქენჯნით.

დარცხვენილი ვაჟი ტყაპუჭში ფუთავდა დედაბერს.

წაფელი ცხენს გაუჯავრდა. კვლავ ახრიალდნენ ციგურები და გაისმა ფლოქვების რბილი თქაფანი.

როდესაც მარხილი ქალიშვილს გაუსწორდა, წაფელი კოფოდან ჩამოხტა და ცხენი ნაბიჯით მიუშვა. რაღაცას ელაპარაკებოდა ვაჟი, ცოცხლად, ჟესტიკულაციით. ქალიშვილი ძუნწად პასუხობდა. სახეში არც შეუხედავს მისთვის. კარგა ხანს გაგრძელდა ასე. მარხილმა უკვე იმ ადგილს მიაღწია, სადაც გზა უხვევდა და თვალს ეფარებოდა. ვაჟი კი კვლავ განაგრძობდა დაჟინებულ ლაპარაკს. მერე, როგორც იყო, მიუბრუნდა ქალიშვილი ვაჟს, გამოელაპარაკა. სადავეები ჩამოართვა და კოფოზეც შეხტა. ლაპარაკმა საუბრის სახე მიიღო ალბათ, რადგან აღარც ვაჟი იშველიებდა ხელებს და აღარც ქალიშვილი ბუტიაობდა.

მარხილი თვალს მიეფარა.

წამოწეული მზე უკვე ტაიგის ქოჩორს გამოჰყურებდა. სულ შორს, დასალიერშიც კი, მკაფიოდ და სათითაოდ ჩანდა ყოველი ფიჭვთაგანი თავისი საკუთარი კონტურით, თოვლის საკუთარი ტვირთით. ყოველი მათგანი თავისებურად წარმოსადეგი, ამაყი და განუმეორებელი იყო.

თენდებოდა.



# ახალი წერილი

**ოთარ ჭელიძე**

I

გათენებულა ახალი წელი,
და მორიდებით და როგორც მუდამ,
ვწერ და ვერ ვგზავნი მილოცვის წერილს
და ქალაქდს ვკუმშავ თოვლისფერ გუნდად.
და მინდა შორით გესროლო თეთრად
გასახსენებლად უცოდველ ყრმობის,
უფოსტოდ, ჩუმად მოვიდეს შენთან,
როგორც ზეციდან ფიფქები მოდის.
მაგრამ სადღაა ჯიქური ძალა,
რომ მოგაწვდინო ნაფიქრი გუნდად?
მარტოდენ ნატვრა, მარტოდენ კრძალვა
ჩამგუბებია საწვიმარ ღრუბლად.
არადა... მინდა გაიგო წრფელად
მიზეზი ჩემი უძილო ღრთოლვის,
მინდა მესხურო მხურვალე ცრემლად,
დამადნო, როგორც ბაბუა თოვლის.
არადა რა ვქნა, მოდი, მიშველე,
ნუ მაწანწალებ კარიდან კარად,
თორემ უქუდო და გულშიშველი
გამოვიქცევი, მოვყვები ბარათს.
და ჩემს მაგიერ ფურცელი გეტყვის...
და მორიდებით და როგორც მუდამ,
ვწერ და ვერ ვგზავნი მილოცვის წერილს
და ქალაქდს ვკუმშავ თოვლისფერ გუნდად.

II

ისევ დავიწყე წერილის წერა,
გამდნარა თოვლი — მარილი ზამთრის,
და როგორც შარშან და როგორც ძველად,
ჩვენს შორის კვამლი და ქარი დაჰქრის.
ქალაქის ქუჩებს გუგუნი გააქვს,
თავზარად მესმის ტრამვაის ზარი,
ვწერ და ვერ ვგზავნი მოკითხვის ბარათს,
არ მახსოვს შენი შეცვლილი გვარი.
რა მახსოვს შენი თვალების გარდა!
რამდენი ღამე ვამტვრიე თეთრად.
დასტოვე შენი ბავშვობა ქმართან
ქალწულის გვართან და წლებთან ერთად?
არადა, რა ვქნა?.. უშენოდ შთენილს
არსად საშველი არა მაქვს, არა!..
ეგებ მოგართვას წერილი ჩემი
ამოვარდნილმა აპრილის ქარმა.
ვფიქრობ და ბარათს სარკმლიდან ვუშვებ,
როგორც ქაღალდის ფანარებს ბავშვი,
და თვითმკვლელივით წერილი უცებ
ვერის ხიდიდან ეშვება მტკვარში.

III

ამბობენ, თითქოს სიყვარულს ეშხი
წაუშალაო დინებამ ჟამთა,
ამბობენ, მაგრამ არასდროს ჩვენში
სხვათა ნაფიქრი, ნათქვამი არ თქვა.
ჩვენ თავიდანვე ვყოფილვართ სულ სხვა,
აკვანში მერცხლის გვსმენია ლოცვა,
როგორც ხის ფესვებს იანვრის სუსხმა
ვერ რა დაგვაკლო ჭალარის მოსვლამ.
და მაინც ქრჟოლვა ფათურობს სისხლში,
ჩვენს შორის ფხიზლობს მესამე ვიღაც.
და მისი შიშით ჭირში თუ ლხინში
სასიყვარულოს ვერ მაწვდენ სიტყვას.
ვერც მე გესროლე წერილი გუნდად,
ვერ მოგიტანა ბარათი ქარმა,
და ვიცი, ვიცი ჩამივლის ცუდად
უძილო ნატვრით ღამეთა პარვა.
არადა, რა ვქნა, ეგებას ძახილს
განწირულ ძახილს მოაპყრო სმენა,
შორიდან ყური დამიგდო ღაღადს,
ეგებ გამიგო, მაღირსო შველა.
ეგებ ხმა გამცე ძახილის ხმაზე,
გულისხმას იცნობს გულისხმა შენი.
ნუგეშის შუქი გაჩნდება ცაზე
და ყრუ დუმილის ჩაწყდება ბჭენი.
მაგრამ... გაიგებს ქვეყანა ჩვენს ხმას,
აგიჯაწყდება მოყვასი ყველა,
დაგარისხდება თავზარად, მეხად
გულების წყრომა, თვალების ელვა.
არადა რა ვქნა? საშველი არ ჩანს.
გამდნარა თოვლი — მარილი ზამთრის,
და როგორც ძველად და როგორც შარშან,
ჩვენს შორის კვამლი და ქარი დაჰქრის.

IV.

ჩრდილოეთურად ენთება, თითქოს
თბილისის ღამე თეთრდება ჩემთვის,
გული გულს ეძებს, სული სულს ითხოვს,
სისხლში სიჩუმის სიცივე შედის.
წუხილი მიწვავს უძილო თვალებს
და მიკვირს ჩემი შერყეულ რწმენის,
როგორც მყეფარი უბიწო მთვარეს
გიყეფ და გიწერ მოკითხვის წერილს.
გიწერ და მტვრიან უჯრაში ვტოვებ,
როგორც საფოსტო ურნაში ბარათს.
და ვიცი, ვინმე თანამედროვე
ახალმთვარეულს მიწოდებს ალბათ.
რა გაეწყობა, იძახონ ასე,
გაიფანტება ჩურჩული ქარში,
ოღონდ შენ ჩემი ოცნების გზაზე
როგორც მახსოვხარ, ისეთი დარჩი.
რა ვუყოთ, ბევრი გვაშორებს წელი,
გწამდეს, ორივეს მაშველი დროა,
მას დავუტოვებ მილოცვის წერილს,
იგი ბარათის ფარფატით მოვა.
გაუღებ კარებს, დაგხვდება თვალწინ,
შენ მასპინძელი გახდები დროის,
მე კი — უდროოდ დამწვარი კაცი
დავრჩები დროის და სივრცეს შორის.

## ი. პოლონსკის თბილისური ჩანახატები

**ბორის კანდელაკი**

რუსი პოეტი, პროზაიკოსი და დრამატურგი იაკობ პოლონსკი (1819-1898) საქართველოში ცხოვრობდა 1846 წლიდან 1851 წლამდე.

საქართველოს ცხოვრებიდან პოლონსკიმ შექმნა მთელი რიგი შესანიშნავი ნაწარმოებებისა, რომლებმაც მკითხველთა საერთო მოწონება დაიმსახურა.

პოლონსკი იყო კარგი მხატვარიც, მის ჩანახატებში აღბეჭდილია საქართველოს სხვადასხვა მხარე და პეიზაჟი.

აღნიშნული ჩანახატები ინახება ლენინგრადში, პოლონსკის არქივში, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ლენინგრადის ფილიალის გამოყენებითი მეცნიერებისა და კინემატოგრაფიის ლაბორატორიაში.



ეს ნახატები იძლევა საქართველოს დედაქალაქის თავისებურ სახეს, მასზე აღბეჭდილია ბანიანი სახლები, ეკლესიები, მტკვარი, ნარიყალა.

ი. პოლონსკის ერთ-ერთი ჩანახატი იძლევა ქალაქ თბილისის ვრცელ პანორამას, რომელიც ავლაბრის სახლის აივნიდან არის დანახული.

ი. პოლონსკიმ მთაწმინდას — თბილისის ამ პოეტურ ადგილს, უძღვნა არა მარტო შესანიშნავი სტროფები, არამედ საინტერესო ნახატებიც — „მთაწმინდის ეკლესია თბილისში". ეს ნახატი 1846 წლით თარიღდება. ნახატში დაკვირვებითაა გამოხატული შენობის დეტალები, რაც ნახატს დასრულებულ სახეს აძლევს. შორს მოჩანს ადამიანთა პატარა ფიგურები, რომლებიც ერთდროულად აცოცხლებენ სურათს და აძლევენ მას გარკვეულ მაშტაბურობას. ეს ჩანახატი პირველად ქვეყნდება.



ეროვნული ბიბლიოთეკა

## გრიგოლ ცეცხლაძე

### პირველი ნადირობა

მთაგრეხილებს მიჰყვებოდნენ ღრუბლები,
ვით მოძრავი თეთრი ბამბის ზვინები.
მზით ბრწყინავდნენ მთებზე თოვლის სუფრები,
და კლდეები—არწივების ბინები.
ახალბედა მონადირე ჭაბუკი,
არ ვიყავი მთის ჭიუხებს ნაჩვევი,
არ მენახა ალპიური ქარბუქი,
არ მენახა სამფლობელო არჩვების.
და უეცრად, თითქოს სიზმრად შევესწარ
საიდუმლო თათბირს ფირალებისა,
ვხედავ, კლდეზე გადმომდგარან ჯიხვები,
გავიგონე ჯახა-ჯუხი რქებისა.
ჭიუხების ნაშიერნი ვიცანი,
სილამაზით მოვიხიბლე ანაზდად,
მღელვარებამ შემიშალა მიზანი,
ვესროლე და.., გამეხარდა, რომ აცდათ.

## ბონდო ალავიძე

### რიწასთან

გაგრა, ბზიფი, ავადხარა...,
ჩრდილი გზიდან გადიხარა,
— ნუთუ მართლა არის რიწა,
თუ ღრუბლები გაიცრიცა. .
— ეს ნისლები მიაქვს ქარებს,
თუ ზვირთები მიაქანებს
წყვილთა ნავებს...
— ქალწულს მოჰგავს ნამტირალევს
პირველ ფერთა მატიანე,
ფსკერამდე რომ ატრიალებს
სხივთა ლიცლიცს,
ასე იცის...
ასე იცის საქართველომ,
არ იცნობდი აქამდე ხომ—
საქართველოს!
აი ცა და აი მიწა...
ამათ გამო ბევრი მიწვა...
თვალს გააწვდენ ჰანამდის კი,
სილამაზე მარადისი
გაგიღიმებს,
შეგაყვარებს, რაც იხილე,
შემოგახვევს ფერთა ლიცლიცს
ასე იცის...
ასე იცის საქართველომ
არ გინახავს აქამდე ხომ—
საქართველო!
,..აქ, დარაჯად სვანეთია,
ავთა მიუსავლეთია...
— ეს სილურჯე ტბაა რიწა,
თუ ღრუბლები გაიცრიცა...
არა. რის ცა!

## გიორგი წერეთელი

### აკაკის ძეგლი ჭიათურაში

მის ძეგლს სიმღერა ვხედავ სხვა უნდა,
ვისაც აქვს ყველა სიმღერის ძალა,
თვალწინ მიდგია ხელთ აქვს «ქვა გუნდა,»
როგორც გოეთეს შილერის ქალა.
დასცქერის ნამარხს, თვალანთებული,
ფიქრში წასული დგას, არ ინძრევა.
ქვაშიც შეწიშნა ძალა მთებური
თავისი ერის გასაღვიძებლად.
ო, ნატვრის თვალი მას უკვე ხელთ აქვს,
ვინც ნატრობს ქვეყნის აღორძინებას,
დგას წლების იქით და აქეთ ხედავს
ამ ნათელი მზის ამობრწყინებას.
მე მოქანდაკე რომ ვყოფილიყავ,
ფოლადისაგან, ეს ქვა რომ გვაძლევს,
შევქმნიდი დიდი აღფრთოვანებით
საუკუნეთა ქარცეცხლის გამძლეს
და ჩემს ქალაქში დავდგამდი ამ ძეგლს.




ეროვნული ბიბლიოთეკა

# დავით გაბაშვილის სახელოსნოში

ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის დავით გაბაშვილის სახელოსნოში ერთი გარემოება იზიდავს ყურადღებას: თქვენ თანამედროვე მხატვრის სახელოსნოში ხართ — ამას მოწმობს არა მარტო ის, რომ კედლებიდან გიცქერიან სამგორის არხის მშენებლები ანდა კავთისხევის ნავთის მაძიებელი ექსპედიციის მზურლავი მუშები და გეოლოგები, ანდა ქართველ მეცნიერთა და ხელოვანთა წიგნების ფერადოვანი, იშვიათი გემოვნებით შესრულებული ყდები, რომლებსაც ასე მძაფრად ეტყობა მხატვრისათვის დამახასიათებელი გრაფიკული «ხელწერა», არამედ იმიტომაც, რომ ყველა ეს ნამუშევარი უაღრესად თანამედროვე ხერხებით არის შესრულებული.

როდესაც დააკვირდებით მხატვრის მრავალრიცხოვან ნაშრომებს, იმასაც დაინახავთ, რომ ამ მეტად თანამედროვე ხელოვანის შემოქმედებითი ფესვები ღრმადაა გადგმული ქართული ქანდაკების, ფრესკული მხატვრობის და არქიტექტურის ტრადიციებში, დაინახავთ, რომ თანამედროვე ტექნიკით და მანერით შესრულებულ ნახატებში რაღაც ძველი ფრესკების ან მინიატიურების მოტივებს მოგვაგონებს. აი, მაგალითად, აკაკი წერეთლის საიუბილეო პლაკატი: უბისის ფრესკებიდან გადმოტანილი პირობითი პეიზაჟის კლდეების ფონზე აკაკის პოემების სცენებია დახატული. ყოველივე ეს თანამედროვე გრაფიკის ენით არის «ნათქვამი» და ამიტომ სავსებით თანამედროვედ გამოიყურება — თვით მხატვარს რომ კითხოთ — იგი თვლის, რომ მრავალსაუკუნოვანი ქართული ხელოვნება დაუშრეტელი წყაროა, რომლიდანაც კიდევ მრავალი თაობა სულ ახალსა ლა ახალს გამონახავს, რათა თანამედროვე შინაარსი ჩაჰბეროს.

დავით გაბაშვილის მთელი შემოქმედება მეტად საგნობრივია თემითაც და შინაარსითაც. შეიძლება მას ზედმეტი უტილიტარიზმი — გამოყენებითობა შევწამოთ — მაგრამ ესეც მხატვრის პრინციპული მოსაზრებითაა ნაკარნახევი —იგი სთვლის რომ თანამედროვე ხელოვანის ასპარეზი — მთელი ჩვენი ყოფა-ცხოვრებაა, ქუჩები და მოედნები, ბინა და საზოგადოებრივი შენობები, ნივთები, რომელსაც ჩვენ ვხმარობთ — ამიტომ სურათებთან ერთად იგი ხატავს პლაკატებს, ეტიკეტებს, წიგნის ყდებს.

თბილისის სამხატვრო აკადემიის დამთავრების შემდეგ (1939 წ.), სადაც იგი პროფესორ ი. შარლემანის კლასში სწავლობდა, მხატვარი დაუღალავად მუშაობს დაზგური გრაფიკის, წიგნების გაფორმების, პლაკატის დარგში. მის ნაწარმოებს ყოველთვის ახასიათებს მხატვრული სიმწიფე და საინტერესო მოფიქრება, რაც დიდი წინასწარი მუშაობის შედეგია. დ. გაბაშვილის პორტრეტები განირჩევიან დახასიათების სიმძაფრით და გამომეტყველებით. მაგ. «ქალიშვილის პორტრეტი», ინდუსტრიული პეიზაჟები—«კავთისხევის ნავთის» და «სამგორის მშენებლობა» თუმცა მეტად მომჭირნედ, მაგრამ ნათელი კომპოზიციითა და დამახასიათებელი დეტალების მოხერხებული გამოყენებითაა შესრულებული.

— რაზე მუშაობთ ახლა?

სახელოსნოში რამდენიმე სკულპტურული პორტრეტია. ამ ბოლო ხანებში მხატვარს ქანდაკება იზიდავს. ეს არცაა გასაკვირი, რადგან დ. გაბაშვილის პორტრეტებისთვის ყოველთვის დამახასიათებელი იყო ნახატის სივრცითი და მოცულობითი შეგრძნება. მისი «ქალიშვილის პორტრეტი» სკულპტურას მოგაგონებთ. ახლაც მის დაზგაზე დავით კაკაბაძის სკულპტურული პორტრეტია, კიდევ პორტრეტი-გრავიურა სახელგანთქმული ქართველი მთამსვლელის ალ. ჯაფარიძისა, კავთისხევის მენავთობეთა პორტრეტების მთელი გალერეა, ლინოგრავიურა—პლაკატი სიძველეთა დაცვისადმი მიძღვნილი, რამდენიმე წიგნის მაკეტი — საბჭოთა საქართველოს 40 წლისთავის დიდი ფოტო ალბომისა, ვახტანგ ბერიძის «XIX საუკუნის თბილისის ისტორიისა». ერთნაირი მონდომებით მუშაობს მხატვარი მაღალმხატვრული ოსტატობით შესრულებულ პორტრეტებზე და წიგნების გაფორმებაზე, საინტერესო სკულპტურაზე და ავეჯის ესკიზებზე — იმიტომ, რომ ყოველივე, რასაც ის აკეთებს, ჩვენს ხალხსა და მისი მხატვრული კულტურის ამაღლებას ემსახურება.

ქ. ჩახნაშვილი











ჩანართზე — მხატვარ დავით გაბაშვილის ნამუშევრების რეპროდუქციები.






ეროვნული ბიბლიოთეკა









ეროვნული
ბიბლიოთეკა





ეროვნული ბიბლიოთეკა










# გმირი შავი ოქროს ქალაქიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

**თენგიზ გელაშვილი**

ერთი წუთითაც არ წყდება სტალინის სახელობის მაღაროს სანგრევში შემოქმედებითი შრომა, განუწყვეტლივ გუგუნებენ სკრეპერები, ელექტრობურღები, სატვირთო მანქანები, ისმის მადან-სანგრევი ჩაქუჩების რიტმული კაკუნი. გაჩირაღდნებულ ფართო და კეთილმოწყობილ საზიდებში მოსრიალე ელექტრომავლებს წამდაუწუმ გამოაქვთ მარგანეცით დატვირთული ვაგონეტები და ისევ წიაღის გულში უჩინარდებიან...

სადაც შრომითი საქმიანობა დღითი დღე იზრდება, იქ ადამიანებიც იზრდებიან და ვაჟკაცდებიან, წინ მიდის ტექნიკური აზრი, იბადებიან ნოვატორები, რაციონალიზატორები, გამომგონებლები, შრომის გმირები...

აქ აღიზარდა და დავაჟკაცდა შავი ოქროს ქალაქის გმირი მაღაროელი ტრიფონ ფოფხაძეც...

ტრიფონის მკერდზე, უკვე რა ხანია, ციმციმებს ოქროს ვარსკვლავი...

— ბედნიერ ვარსკვლავზე გაჩენილხარ, ძმაო!

— ასახელე ჩვენი ქალაქი და ეგ არი!..

ლოცავენ მარგანეცის ქალაქის მშრომელები ტრიფონს.

— ტრიფონი მეორე უბნის საექსპლოატაციო ცვლაში მუშაობს, აქედან ორი კილომეტრის დაშორებით, — გვითხრა მაღაროს ტექნიკური უსაფრთხოების ინჟინერმა ვიქტორ ჭანტურიძემ, თავზე მუზარადი მოგვარგო და სანგრევისაკენ გაგვიძღვა...

— რა ხელმა გამოიღო ამდენი მადანი? — ვეკითხებით ჩვენს მეგზურს.

— ტრიფონმა და ტრიფონისთანა ვაჟკაცებმა, — გვიპასუხა ვიქტორმა და აჩქარებით დაატანა, — ახლახან ეკონომისტებმა იანგარიშეს, რომ ტრიფონის მიერ მონგრეული მარგანეცის მადნით შეიძლება დაიტვირთოს სარკინიგზო ეშელონი, რომელიც ჭიათურიდან სამტრედიამდე გაიჭიმება...

— ტრიფონი უნივერსალური მაღაროელია, მაღაროში არ არსებობს ისეთი პროფესია, რომელსაც იგი არ ფლობდეს. დახელოვნებული მემანქანე და მბურღავი, დაოსტატებული რკინიგზელი და სანგრევ უროზე მომუშავე — ასეთია ტრიფონის პროფესიები. ამჟამად იგი 25-30 ტონა მარგანეცს იძლევა ცვლაში. 1958 წელს გეგმის გადამეტებით 1500 ტონა მარგანეცი მისცა სამშობლოს, ხოლო 1959 წლის გეგმა დიდი გადაჭარბებით შეასრულა.

— კი, მაგრამ, საზოგადოებრივ მუშაობას მაინც როგორღა ასწრებს? — ვეკითხებით კვლავ ვიქტორ ჭანტურიძეს, რომელმაც ბოლომდე იკისრა ტრიფონ ფოფხაძის ბიოგრაფის როლი.

— ასწრებს და ძალიან კარგადაც ასწრებს — გვიპასუხა ინჟინერმა, წუთით ლიანდაგის მარცხენა მხარეს გადაგვიყვანა, ნათურა მაღლა აწია და, როცა მარგანეცით დატვირთულმა მატარებელმა ჩაგვიქროლა, დინჯად განაგრძო: — მაღაროელები დიდად აფასებენ და ენდობიან ტრიფონს, ამიტომ არის იგი საქართველოს უმაღლესი საბჭოს ოთხივე მოწვევის დეპუტატი. ამომრჩევლები ხშირად მიდიან მასთან სხვადასხვა საკითხზე. გულისხმიერი დეპუტატი ყოველნაირად ეხმარება ამომრჩევლებს, ზრუნავს მათ კეთილდღეობაზე.

ახალგაზრდა ინჟინერი გზადაგზა გვიამბობს ჭიათურელი გმირის ამბავს. თვალწინ დაუვიწყარ სურათებად ცოცხლდებიან გარდასული წლების სახელოვანი ფურცლები...

— 31 წლის წინათ კორბოულელი ჭაბუკი ტრიფონ ფოფხაძე ჭიათურაში პირველად ჩამოვიდა...

— ეს მადანი შავი ოქროა, ადამიანების სიმდიდრისა და ბედნიერების წყარო, — უთხრეს ტრიფონს. გონებამახვილი ჭაბუკი გუმანით მიხვდა, რომ მთების გულში დიდი საქმეები კეთდებოდა და როცა ცხოვრებას უფრო დაკვირვებით შეხვდა, იგრძნო, რომ ბედნიერების, სიცოცხლისა და ცხოვრების აზრი შრომაშია. იგრძნო და თვითონაც ჩაიცვა ბრეზენტის სპეცტანსაცმელი, თავზე ჩაფხუტი დაიხურა და ცადაზიდულ მთებს უშიშრად შეება.

დაძაბულ შრომაში წლები გადიოდა... ტრიფონის სახელი უკვე შავი ოქროს ქალაქის ფარგლებს გასცდა და როცა ჩვენს თვალუწვდენელ სამშობლოში სტახანოვური მოძრაობა დაიწყო, ჭიათურაში მას ერთი პირველთაგანი ტრიფონი გამოეხმაურა. ქართველმა ვაჟკაცმა სარეკორდო მაჩვენებლებს მიაღწია. ტრიფონი ყოველდღიურ გეგმებს სამ-ოთხმაგად ასრულებდა, წარმოების ნოვატორი მუშაობის შემდეგ სანგრევიდან სანგრევში, მაღაროდან მაღაროში დადიოდა და თავის მდიდარ საწარმოო გამოცდილებას ასობით ახალგაზრდა მაღაროელს უზიარებდა.

1937 წელს ტრიფონი მაღაროს უბნის უფროსად დანიშნეს...

— ტრიფონი იმიტომ არის უბნის კარგი ხელმძღვანელი, რომ ყველას აძლევს თავის ნიჭისა და უნარის გამოჩენის საშუალებას. ყოველი მაღაროელის აზრს ანგარიშს უწევს და პატივისცემით ეკიდება, — ამბობდნენ მაღაროელები. თერთმეტი წლის მანძილზე ტრიფონ ფოფხაძის უბანი დიდი გადაჭარბებით ასრულებდა მარგანეცის მოპოვების გეგმებს. სამშობლომაც დააფასა ტრიფონის თავდადება: იგი დაჯილდოებულია ლენინის ორი ორდენით, შრომის წითელი დროშის ორდენითა და მედლებით. არა ნაკლებ ნაყოფიერი იყო ამ პერიოდში ტრიფონის სადეპუტატო მუშაობაც, ხალხის რჩეული ხალხის კეთილდღეობასა და ბედნიერებაზე ზრუნავდა.

...საუბარში გზა შეუმჩნევლად დაილია და ხელისგულივით სწორ პატარა სანგრევ მოედანს მივადექით. ტრიფონი ისე გართულიყო მუშაობით, რომ ჩვენი მისვლა ვერც კი შეამჩნია. როცა სანგრევი ჩაქუჩის ხმაური მიწყნარდა, სახემღიმარი ტრიფონი მოგვიახლოვდა.

ვთხოვეთ რამდენიმე სიტყვით მოეთხრო სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდების გამო.

— სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდება, — მოკრძალებით დაიწყო მან, — რომელიც მე მომენიჭა, პირველ რიგში ჩვენი მაღაროს სახელოვანი კოლექტივის დამსახურებაა. აქ, სტალინის სახელობის მაღაროში გამზარდეს და შემაყვარეს შრომა, შემაყვარეს მნგრეველის პროფესია.

34 წელია მიწისქვეშ ვმუშაობ, რასაც აქ, ჩვენ, მაღაროელები, ვაკეთებთ, შეუმჩნეველი როდი რჩება პარტიასა და მთავრობას... როდესაც ხედავ, გრძნობ და განიცდი, თუ როგორ აფასებენ შენს შრომას და ზრუნავენ შენზე, შრომაში მეტი სიმხნე გემატება, ცხოვრებას მეტი აზრი და სიხალისე ეძლევა. მთელი სულით და გულით მინდა მადლობა ვუთხრა პარტიასა და მთავრობას რიგითი მაღაროელის ასეთი დაფასებისათვის. მთავრობის ამ უმაღლესი ჯილდოს საპასუხოდ კვლავაც უფრო ნაყოფიერად ვიმუშავებ, რომ ჩვენს სამშობლოს მეტი მარგანეცი მივცე!

...მაღაროში ერთი წუთითაც არ წყდება შრომა. მთავარ სანგრევზე მონგრეული მადანი საზიდებში უწყვეტ ნაკადად მიედინება. ჭიათურელი გმირის მხარდამხარ თავდადებით შრომობენ მისივე მოწაფეები: გრიგოლ აბრამიშვილი, ივანე კომლაძე, მოსე ჰუმბურიძე, გრიგოლ სხირტლაძე, გრიგოლ გიორგაძე, ვლადიმერ ფოფხაძე და სხვები, რომლებიც თავიანთი მასწავლებლის მაგალითისამებრ საწარმოო გეგმებს ორმაგად ასრულებენ.

...ვინ იცის, კიდევ რამდენი გმირი ეზრდება სამშობლოს!

**ფოტო ნ. ერქომაიშვილისა,**



# ინფექციურ საავადმყოფოში

**რ. ჯაჯანაშვილი**

— უცნაურია ჩვენი ბედი, — ამბობენ ინფექციონისტები, — რაც უფრო მეტ წარმატებებს მივაღწევთ მუშაობაში, მით უფრო ზედმეტი გახდება ჩვენი არსებობა. მალე დადგება დრო, როცა იმ მწვავე ინფექციურ დაავადებათა მორჩენა, რომლებიც დღეს კვლევის საგანს შეადგენს, ყოველ ექთანს შეეძლება. ჩვენი საავადმყოფოს მუშაობა და ჩვენი სპეციალისტების ენერგია საბოლოოდ ამ საავადმყოფოს გაუქმებისა და ამ სპეციალობათა ლიკვიდაციისკენ არის მიმართული. რაც უფრო მალე მივაღწევთ ამ მიზანს, მით უკეთესი. შეგიძლიათ დარწმუნებული იყოთ, რომ თავისი სპეციალობის გაუფასურების შიშით არც ერთი ჩვენგანი ნაკლებ გულმოდგინებას არ გამოიჩენს ყოველდღიურ მუშაობაში...

...ეპიდემიური სნეულებანი ომებთან ერთად უხსოვარი დროიდან ითვლებოდნენ კაცობრიობის უბოროტეს მტრად. უფრო მეტიც: ძველად ზოგიერთ „ომში" სულ რამდენიმე ასეული კაცი თუ დაიღუპებოდა, შავი ჭირი, ქოლერა და სხვა ეპიდემიები კი ასეულ ათასობით და მილიონობით სიცოცხლეს იწირავდნენ.

ამ სნეულებათა სახელები და ზნე ყველასათვის ცნობილი იყო. ადამიანის ძალღონეს აღემატებოდა მათი არამცთუ სრული დამარცხება და განადგურება, არამედ შეჩერება და ლოკალიზაციაც კი. ბევრი ბურჟუაზიული „მოაზროვნე" საბჭოთა რუსეთის ტერიტორიაზე მძვინვარე ეპიდემიებში ხედავდა ერთ იმ მთავარ მიზეზთაგანს, რომელთაც, მათი ჭკუით, საბჭოთა ხელისუფლების გარდუვალი დაღუპვა უნდა გამოეწვიათ.

მაგრამ მოხდა დაუჯერებელი. საბჭოთა ხელისუფლებამ უმოკლეს ვადაში შეაჩერა ეპიდემიების გავრცელება, შემდეგ სრულიად მოსპო ისინი. ჩვენს ქვეყანაში გაშლილმა სოციალისტურმა მშენებლობამ კაცობრიობას დაანახვა, რომ არსებობს უტყუარი, სწრაფმოქმედი და ეფექტური საშუალებები ეპიდემიებთან საბრძოლველად — სოციალურ უთანასწორობათა მოსპობა, მშრომელი მასების გონებრივი სიდუხჭირისა და კულტურული ჩამორჩენილობის ლიკვიდაცია, სახელმწიფოს განუწყვეტელი ზრუნვა მშრომელთა ჯანმრთელობისათვის.

— გულახდილობა სჯობია, — ამბობს თბილისის ინფექციური საავადმყოფოს მთავარი სპეციალისტი, პროფესორი გიორგი კვიტაშვილი, — ჩვენი საავადმყოფოს მკვიდრთა რიცხვი გაცილებით მცირე იქნებოდა, ჩვენში რომ აქაიქ ჯერ კიდევ არ იჩენდეს თავს ის, რასაც მხოლოდ ერთი სახელი — უკულტურობა შეიძლება ეწოდოს. თითქოს დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია, რომ ზოგ მოქალაქეს — ასეთების რიცხვი კი არცთუ ისე მცირეა, — ჯერ კიდევ ვერ შეუგნია, რომ უფრო ადვილი, საერთო ჯანმრთელობისათვის სასარგებლო და მიზანშეწონილია ინფექციური დაავადების თავიდან აცილება, ვიდრე დასნეულებულის განკურნება. თუ ჩვენი საავადმყოფოს საქმიანობის შესაფასებლად ციფრებს მოვიშველიებთ, საქმე თითქოს არც ისე ცუდადაა. სიკვდილიანობის პროცენტი წლითიწლობით კლებულობს და გასულ წელს მხოლოდ 1,7-ს უდრიდა. მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ ეს ციფრი მხოლოდ ცოცხალთათვის არსებობს, და იმათ ვინც მასში მოხვდა, მისი სიმცირე არაფერში არგია. ზოგ ჩვენს მოქალაქეს მეტად არაზუსტი წარმოდგენა აქვს თანამედროვე მედიცინის ძლიერებაზე. ისინი ანგარიშს არ უწევენ იმას, რომ ავადმყოფობის მიმდინარეობაში არსებობს საზღვარი, რომლის იქითაც მედიცინა უძლურია. ზოგჯერ სნეულს მაშინღა მოიყვანენ ხოლმე ჩვენთან როცა ხსნის არავითარი საშუალება აღარ შეიძლება მოინახოს. არიან ისეთი მშობლებიც, რომლებიც თავს არიდებენ ბავშვისათვის პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩატარებას. რა უფრო მძიმე და ძნელი ასატანია, — ის რომ ბავშვი ვთქვათ, დიფტერიტის საწინააღმდეგო აცრის დროს წამოიტირებს, თუ ის, რომ ბავშვი... გთხოვთ გადასცეთ თქვენი ჟურნალის საშუალებით ჩემი და ყველა ჩემი კოლეგის გულისწყრომა ასეთ მშობლებს. გთხოვთ, აგრეთვე, შეატყობინოთ საქართველოს ყველა მკვიდრს, რომ ლენინგრადში, მაგალითად, თითქმის სრულიად მოსპობილია ისეთი საშიში ინფექციური დაავადებები, როგორიცაა დიზენტერია და დიფტერიტი, ჩვენ კი ამავე მიზნის მისაღწევად ლენინგრადელებზე ნაკლები საშუალებები, როდი მოგვეპოვება.

— პატივცემულო პროფესორო, არსებობენ თუ არა ინფექციური სნეულებანი, რომელთა წინააღმდეგ სრულიად უძლურია თანამედროვე მედიცინა?

— შეიძლება ითქვას, რომ — არა, მთავარი და გადამწყვეტია დროული ჩარევა, თუ ადამიანს სნეულება შეეყარა.

— მაშ რითი ავხსნათ, რომ თქვენ საავადმყოფოში ასეთი ინტენსიური მუშაობა წარმოებს?

თბილისის ინფექციური საავადმყოფოს მუშაობა არ ამოიწურება ავადმყოფთა მკურნალობით. საავადმყოფოს ბაზაზე მუშაობს თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის ორი კათედრა — ინფექციურ სნეულებათა, რომელსაც პროფ. გ. კვიტაშვილი ხელმძღვანელობს, და ბავშვთა ინფექციურ სნეულებათა კათედრა, რომელსაც სათავეში პროფ. ნემსაძე უდგას. პრაქტიკული მუშაობა, რომელიც საავადმყოფოში სნეულთა განკურნების მიზნით ტარდება, უამრავ მასალას იძლევა თეორიული აზრის განვითარებისათვის. ამით კარგად სარგებლობს საავადმყოფოს მკურნალი პერსონალი. უკანასკნელ წლებში საავადმყოფოს სამმა ექიმმა დაიცვა საკანდიდატო, ხოლო ერთმა — სადოქტორო დისერტაცია. ამჟამად რამდენიმე ექიმი მუშაობს აქტუალური თემებისადმი მიძღვნილ დისერტაციებზე. 1955-60 წლებში საავადმყოფოს ექიმების მიერ შესრულებულია 100 შრომა, რომელთაგან თვითეულს დამოუკიდებელი მეცნიერული ღირებულება გააჩნია.

მეცნიერულ-კვლევითი მუშაობა, რომელიც თბილისის ინფექციურ საავადმყოფოში წარმოებს, მიმართულია ინფექციურ დაავადებათა საწინააღმდეგოდ უფრო ეფექტური, უფრო რადიკალური საშუალებების დადგენისაკენ.

საავადმყოფო კონსულტაციებს უწევს ქალაქისა და რესპუბლიკის სხვა საავადმყოფოთა ექიმებს. ახლა გეზი იქითკენაა აღებული, რომ ყოველ თერაპევტსა და პედიატრს შეეძლოს ინფექციური დაავადების გამოცნობა, დიაგნოზის დასმა და მკურნალობა. საავადმყოფოს დიფტერიულ განყოფილებაში, მაგალითად, 1959 წლის განმავლობაში კვალიფიკაცია აიმაღლა თბილისის 112 და რესპუბლიკის რაიონების 66 ექიმმა. საავადმყოფოს სამედიცინო პერსონალი სისტემატურ დახმარებას უწევს საქართველოს რაიონების ექიმებს ინფექციურ დაავადებათა მკურნალობისა და პროფილაქტიკის საკითხებში — ადგილებზე კითხულობენ ლექციებს, აწყობენ 10-დღიან სემინარებს, მიდიან ხანგრძლივი მივლინებით სამუშაოდ დიდ ქალაქებში — ქუთაისში, ბათუმში, და სხვ. ინფექციურ სნეულებათა კათედრის თანამშრომლებმა შეადგინეს მეთოდური წერილები საექიმო უბნების დასახმარებლად, გამოუშვეს მონოგრაფიები დიფტერიტზე, დიზენტერიასა და ამებიაზზე, ამზადებენ ორიგინალურ სახელმძღვანელოს ქართულ ენაზე ინფექციურ სნეულებათა შესახებ.

მაგრამ თბილისის ინფექციური საავადმყოფოს პერსონალი არა მარტო სხვებს ასწავლის და ეხმარება, არამედ თვითონაც სწავლობს. საბჭოთა კავშირის, მოსკოვისა და ლენინგრადის მოწინავე კლინიკებში ყოველწლიურად მიემგზავრებიან საავადმყოფოს სპეციალისტები მკურნალობის ახალი მეთოდების ასათვისებლად და გამოცდილების გასაზიარებლად.

ამ ხანგრძლივმა სისტემატურმა და გულისხმიერმა თანამშრომლობამ, შეუნელებელმა მეცნიერულმა კვლევამ, რაც თბილისის ინფექციურ საავადმყოფოში წარმოებს, ბევრი საყურადღებო შედეგი მოგვცა.

აი, ერთი მათგანი:

როგორც ცნობილია, დიფტერიული კრუპით დაავადებული ბავშვი უმეტეს შემთხვევაში ასფიქსიით — მოხრჩობით იღუპება. წინათ განწირული ბავშვის გადასარჩენად ქირურგიულ ჩარევას მიმართავდნენ. მაგრამ ეფექტი ძალიან სუსტი იყო—ბავშვთა 60% იღუპებოდა. ახლა თბილისის ინფექციურ საავადმყოფოში პროფ. გ. კვიტაშვილის მიერ დანერგილია დიფტერიული კრუპის ინტუბაციური მეთოდით მკურნალობა. ინტუბაცია — უსისხლო ოპერაციაა, რომლის დროსაც ავადმყოფს ხორხში სპეციალურ ლითონის მილს უდგამენ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

### იოსებ გრიშაშვილი

## მოხუც საზრუოს

გულში სევდამ დაივანა
ძველებურად აღარ ბრწყინავ,
წელნაზი და თვალსხივანა,
შენ ასეთი იყავ წინათ!

მახსოვს, — როდი დამიჯერე, —
ტრფობას გთხოვდი სანეტაროს,
მითხარ: „ლექსი დამიწერე!“
აი გიწერ, მაგრამ რა დროს?

გიხილე და დავრჩი სახტად..,
სთქვი: სად გაქრა იგი ხანა,
მტკვრის ნაპირას ანჩისხატთან
გამართული არიფანა?

ცქრიალებდი, ნარნარებდი,
გიხდებოდა შარიშური,
მიწას ფეხს არ აკარებდი,
გიყურებდა ყველა შურით...

ნუ თუ დასჭკნი ასე მალე?
ასეთია ყველას ბოლო?
უ! სიბერევ, გამეცალე,
არ მსურს ლექსი შეაურუოლო!

ამ ერთი შეხედვით უბრალო, მარტივი ხერხით, რომელიც ფაქტიურად დიდ დახელოვნებას, ცოდნას და გულისხმიერებას მოითხოვს, რამდენიმე ასეული ბავშვის სიცოცხლე იქნა შენარჩუნებული, სიკვდილიანობის პროცენტი კი რამდენჯერმე შემცირდა. ახლა წარმოებს მუშაობა ინტუბაციური მეთოდით დიფტერიტის მკურნალობის დასანერგავად საქართველოს რაიონებში.

თბილისის ინფექციური საავადმყოფოს კოლექტივს ჰყავს ადამიანები, რომ-



პროფ. გ. კვიტაშვილი საავადმყოფოში შემოვლისას

ლებითაც იგი ამაყობს. ასეთები არიან ძველი, გამოცდილი ექიმები ნ. კალანდარაშვილი და ბლიაძე, რომელთაც არა ერთი მშობელი იცნობს და ემადლიერება. ასეთებია ახალგაზრდები, განყოფილების გამგე ა. კვიტაშვილი და ბაქტეროლოგიური განყოფილების გამგე მ. ბიბინეიშვილი და სხვა მრავალი, საავადმყოფოს პერსონალი თავდადებით ემსახურება მისთვის მინდობილ, უაღრესად საპასუხისმგებლო და საპატიო საქმეს.



# ლევან ასათიანი

### აკაკი ბელიაშვილი

ლევან ასათიანმა მწერლობა ლექსების წერით დაიწყო. მისი ჭაბუკობის დროინდელი ლექსები გამთბარია უნაზესი ლირიკული გრძნობით და სიცოცხლისადმი სიყვარულით, შემდეგში, გონებრივი სიმწიფის პერიოდში, მის არსებაში გარდატეხა მოხდა და იგი მეცნიერული ლიტერატურული შრომის სტიქიამ შეიპყრო. პატრიოტული სულისკვეთებით შეპყრობილს ხიბლავდა და აჯადოებდა მეთვრამეტე და მეცხრამეტე საუკუნის რომანტიკოს პოეტთა და მოღვაწეთა სულიერი სამყარო, მათი ცხოვრება და მოღვაწეობა.

ლევან ასათიანმა გააცოცხლა მივიწყებულ ქართველ პოეტ ქალთა სახელები: ქეთევანისა და მანანასი, სალომესი და მაია გაბაშვილისა, ქეთევან ირაკლის ასულისა და თეკლასი. თავისი მოღვაწეობის მანძილზე ლევან ასათიანი არასოდეს არ გამოთიშვია თავის პოეტურ ბუნებას. მთელი მისი ესეისტური შემოქმედება გამოირჩევა სწორედ პოეტური განწყობილებით და გამთბარია იმ მომაჯადოებელი შინაგანი გრძნობით, რაც საერთოდ ახასიათებს პოეზიას და მაღალმხატვრულ პროზას. სულ ერთია, სწერს იგი პუშკინის ურთიერთობაზე ქართულ კულტურასთან, ლესია უკრაინკას ქართველ მეგობრებზე, ლეო ქიაჩელის რომან „გვადი ბიგვაზე“, აკაკი წერეთლის ცხოვრებაზე, მაიაკოვსკიზე თუ იაკობ ნიკოლაძის ქანდაკებებზე, ყველგან მღერის როგორც პოეტი. იგი იყო ნამდვილი გამგრძელებელი იმ მშვენიერი ლიტერატურული ტრადიციებისა, რომელსაც სათავე დაუდო იონა მეუნარგიამ.

ლ. ასათიანის შესანიშნავი ნაშრომი აკაკი წერეთლის ცხოვრებაზე დიდი ხანია უკვე იქცა სამაგიდო წიგნად.

ლევან ასათიანის აგურები თანამედროვე ქართული მწერლობის დიდ შენობაში მტკიცეა და ურყევი.

ლევან ასათიანი იყო უაღრესად მოყვარული სიცოცხლისა. მას უყვარდა მოსწრებული სიტყვა და მეგობრების წრეში ყოველთვის სიხარული შეჰქონდა თავისი ენამახვილი ხუმრობით. ლევან ასათიანის ხსენება ყოველთვის მაგონებს გრიგოლ ორბელიანის ლექსს:

„ჩემო იარალი, ნეტავი ოდეს
ლხინით აღვსილნი ვჰსხდეთ ველსა მწვანეს
ჩვენებურადა, ძველებურადა,
ვსვამდეთ, ვიძახდეთ: იარი-არალი!
.....
ცა მშვენიერი, ცა მშობლიური
მარად ბრწყინვალე ზე დაგვნათიდეს......“

# [illegible]

**ჰაინრიხ ბიოლი**

მოთხრობა

ნახ. თ. სამსონაძისა

მათ ზანტად აჰქონდათ კიბეებზე საკაცე. ორივე ალრენილ გუნებაზე იყო: ერთი საათია, რაც მუშაობა დაიწყეს და გროშიც არავის უჩუქნია. ერთი მათგანი მძღოლი იყო. კაცმა რომ თქვას, საკაცის ტარება სულაც არ ევალებოდა, მაგრამ საავადმყოფოდან დამხმარე არავინ გამოგზავნეს და მანქანაში როდემდის უნდა დაეტოვებინათ ბიჭი. მათ ორი ავადმყოფი კიდევ ჰყავდათ მოსაყვანი: ერთს ფილტვების ანთება ჰქონდა, მეორეს კი თავი ჩამოეხრჩო; სულზე მიესწროთ და ცოცხალმკვდარი ჩამოეხსნათ. მიუხედავად ამისა, ისინი სრულებით არ ჩქარობდნენ, პირიქით, განგებ ითრევდნენ ფეხს. საკაცე ნელა მიჰქონდათ მკრთალად განათებულ ვესტიბიულში, სადაც საავადმყოფოსათვის დამახასიათებელი სუნი იდგა.

— ნეტა რაღად ჩამოხსნეს? — წაიბურტყუნა უკან მომავალმა სანიტარმა თვითმკვლელის მისამართით.

— სწორი ხარ, მართლაც და რისთვის? — არ



დააყოვნა პასუხი მძღოლმა. ამ დროს იგი შემოტრიალდა და საკაცე ისე მაგრად დააჯახა კარის ძგიდეს, რომ ბიჭი გონს მოვიდა და საშინლად იყვირა.

— წყნარად, წყნარად! — დაამშვიდა იგი ახალგაზრდა ექიმმა, რომელსაც ჯერ ისევ სტუდენტურად ეცვა. ექიმს ჰქონდა ქერა, ნერვიული სახე. მან საათს შეხედა. 8 საათი იყო. უკვე დიდი ხანია შეეძლო წასულიყო, მაგრამ, აგერ საათზე მეტია, ამაოდ უცდიდა შემცვლელ ექიმს — ლომეიერს. „ლომეიერი, ალბათ, დააპატიმრეს, — გაიფიქრა, მან, — ახლა ისეთი დროა, რომ ყველას მოელის ასეთი ამბავი.“ ექიმმა სტეტოსკოპი მოიმარჯვა და მხოლოდ ახლა შეამჩნია, რომ საკაცის მომტანნი ისევ იცდიდნენ. აქამდე იგი თვალმოუშორებლივ უცქეროდა საკაცეზე მწოლიარე ბიჭს.

— თქვენ რაღა გინდათ? — გაბრაზებით მიუბრუნდა ექიმი მათ.

— საკაცე, — მიუგო მძღოლმა, — არ შეიძლება ბიჭი გადააწვინონ რამეზე? ძალზე ვეჩქარება.

— ჰო, მართლა, — თქვა ექიმმა და ტყავგადაკრულ შეზლონგზე მიუთითა. მორიგე ექთანი გულგრილი, მაგრამ სერიოზული სახით მიუახლოვდა ბიჭს და მხრებში ჩასჭიდა ხელები, სანიტარმა — ფეხებში, და ბიჭი შეზლონგზე გადააწვინეს. ბავშვმა კვლავ გულის გამგმირავად წამოიყვირა.

— წყნარად, არც ისე ცუდადაა საქმე! — შეაწყვეტინა ექიმმა მკვახედ.

საკაცე გაათავისუფლეს, მაგრამ ისინი ისევ იცდიდნენ.

სანიტარმა წყნარად მიმართა ექიმს, საბანიც მომეცითო.

საბანი მისი არ იყო, ვიღაც ქალმა მისცა შემთხვევის ადგილზე, რადგან სხვანაირად შეუძლებელი იყო ფეხებდამტვრეული ბავშვის წამოყვანა. სანიტარი ფიქრობდა, საბანი საავადმყოფოს დარჩებაო, პატრონს რომ არ დაუბრუნებდნენ, ეჭვიც არ ეპარებოდა. საბნები საავადმყოფოს ისედაც ბევრი აქვსო, ფიქრობდა იგი. ბიჭის რომ იყოს, მაშინ სხვა საქმეა. ამათ კი რატომ უნდა შეარჩინოს? სახლში საბანს გარეცხავს და შეიძლება კარგ ფასადაც გაყიდის ბაზარზე. ახლა ბაზარზე ადვილად საღდება ასეთი რამ.

ბავშვმა ისევ წამოიყვირა. მას საბანი გადააძრეს და მძღოლს გადასცეს. ექიმმა შეშფოთებით გადახედა მორიგე ექთანს. ბავშვი საშინელი შესახედავი იყო: ნაკუწებად ქცეული ტილოს მოკლე შარვალი სისხლში არეულიყო და შემზარავ მასას ჰქმნიდა. როცა ფეხები გაუშიშვლეს, ბავშვი ისევ აყვირდა.

— ჩქარა, ჩქარა, — ჩურჩულით მიმართა ექიმმა ექთანს, — ჩქარა, შპრიცი მომეცი!

ექთანი მარჯვედ და სწრაფად მოძრაობდა, მაგრამ ექიმი მაინც აჩქარებდა: „ჩქარა! ჩქარა!..“ ბავშვი ყვიროდა. ექთანმა კი ვერ იქნა და ვეღარ მოამზადა შპრიცი.

ექიმს დაღლილობისაგან დაღმეჭა გაფითრებული სახე. ბიჭს მაჯა გაუსინჯა.

— გაჩუმდი, — ჩურჩულებდა იგი შეშლილივით, — გემუდარები, გაჩუმდი!...

მაგრამ ბავშვი მაინც ყვიროდა, ყვიროდა მთელი ხმით, თითქოს ამ ქვეყანაზე მხოლოდ ყვირილისათვის იყო გაჩენილი.

ექთანმა, როგორც იქნა, გაამზადა შპრიცი და ექიმმა სწრაფად შეუშხაპუნა ბავშვს წამალი.

მან ის იყო ნემსი ამოაძრო თითქმის გახევებული კანიდან, რომ კარი გაიღო და ოთახში მოწყალების და შემოიჭრა, მაგრამ როცა დაშავებული ბიჭი და ექიმი დაინახა, ნაბიჯი შეანელა და უხმოდ მიუახლოვდა მათ. ექიმსა და მორიგე ექთანს თავი დაუქნია, ბიჭს კი შუბლზე დაადო ხელი. ბავშვი შეკრთა და სწრაფად გაახილა თვალები. თითქოს გრილი ხელის სიმძიმე ეხამუშა, ჩანდა, გამაყუჩებელ წამალს სწრაფად ემოქმედნა. ექიმს ჯერ კიდევ ხელში ეჭირა შპრიცი, მან მძიმედ ამოიხვნეშა და ქალებს შეხედა. ოთახში ახლა საოცარი სიჩუმე იყო ჩამოწოლილი, ისეთი სიჩუმე, რომ იქ მყოფთ საკუთარი სუნთქვის გაგონება შეეძლოთ. ყველანი დუმდნენ.

ბავშვი ტკივილს აღარა გრძნობდა და ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდა ოთახს.

— მაჯის ცემა რამდენია? — ჩუმად შეეკითხა ექიმი ექთანს.

— ათი.

— ბევრია! — ექიმმა მხრები აიჩეჩა. — მოგვეხმარებით ლიობა?

— რა თქმა უნდა, — მკვირცხლად უპასუხა მოწყალების დამ.

ოთახში კვლავ სიწყნარე იყო. ექთანმა და მოწყალების დამ ბავშვს სისხლიანი ნაკუწები გახადეს და მხოლოდ მაშინ შეამჩნიეს, რომ სისხლი რაღაც შავ მასაში იყო არეული. ბიჭს ფეხები ნახშირის მტვრით ჰქონდა გათხუპნული, ხელებიც, ყველაფერი სისხლის, ქსოვილის ნაკუწების და ნახშირის ცხიმოვანი მტვრის ნარევს წარმოადგენდა.

— გასაგებია, — ჩაილაპარაკა ექიმმა, — მატარებლიდან გადმოგაგდეს ნახშირის აწაპვნის დროს, არა?

— ჰო, — ჩაწყვეტილი ხმით თქვა ბიჭმა, — ჰო, ასეა...

იგი სავსებით გონს მოვიდა და ფართოდ გახელილი თვალები ბედნიერებით გაუბრწყინდა. ეტყობოდა, წამალმა ჩინებულად იმოქმედა. მოწყალების დამ ბავშვს ნიკაპამდე ამოუკეცა პერანგი და გამხდარი ზედატანი გამოუჩინა. ბავშვს ლავიწის ძვლები ისე ჰქონდა ამოცვენილი, რომ კისერთან გაჩენილ ფოსოებში მოზრდილი ადამიანის მუშტი თავისუფლად ჩაეტეოდა. შემდეგ ფეხების უვნებლად გადარჩენილი ნაწილიც ყურადღებით დაუთვალიერეს. ბიჭს შხვართი ფეხები ჰქონდა, თხელი და ლამაზად მოყვანილი.

ექიმი ქალებს მიუბრუნდა:

— ორმხრივი მოტეხილობა უნდა ჰქონდეს, გაშუქება დაგვჭირდება.

ექთანმა სპირტიანი ბამბით გაუწმინდა ბავშვს ფეხები. ახლა ბიჭი ისეთი საშინელი შესახედავი აღარ იყო; მხოლოდ გამხდარი იყო, ძალიან გამხდარი. ექიმი ჭრილობის შეხვევისას გამუდმებით აქნევდა თავს, ისევ ლომეიერზე ფიქრობდა: „ალბათ ჩასვეს ლომეიერი. რომ არაფერიც წამოცდეს, მაინც საკმარისი ბრალეობაა, ის იქ იჯდეს სტროფანტინის გულისათვის, შენ კი, მოგებში მონაწილე, თავისუფლად გარეთ უნდა იყო? ეშმაკმა დალახვროს! ალბათ უკვე ცხრის ნახევარია. რა საშინელი სიჩუმეა, ქუჩაში მაინც გაიხმაუროს რამე...“

მან შეხვევა დაამთავრა. მოწყალების დამ პერანგი ჩამოუკეცა ბიჭს, კარადიდან გამოღებული თეთრი საბანი გადააფარა და კვლავ შუბლზე დაადო ხელი. შემდეგ უკვე პირსაბანთან მდგომ ექიმს მიმართა: მე პატარა შრანცისთვის შემოვედი, ბატონო ექიმო, თქვენ აქამდე არ გცალდათ ამ ბიჭის გამო და აღარ შეგაწუხეთ.

ექიმს ხელი გაუჩერდა. სახე ოდნავ გაუფითრდა და ქვედა ტუჩზე მიწებებული სიგარეტი აუკანკალდა.

— რა მოხდა? — იკითხა მან, — რა დაემართა პატარა შრანცს?

— გული უჩერდება, მგონი აღსასრულის ჟამი დადგა...

ექიმმა სიგარეტს ხელი შეაშველა, ხელსახოცი კი პირსაბანთან ჩამოკიდა.

— ღმერთმა დასწყევლოს! — უმწეოდ წამოიძახა მან, — ეგაა მაკლდა... მე რა შემიძლია გავაკეთო!

ქალს ისევ ბავშვის შუბლზე ედო ხელი. ექთანმა სისხლიანი ბამბა ჩაჰყარა სათლში, მისმა ნიკელის სახურავმა სინათლის ციმციმა რკალი მოავლო კედელზე.

ექიმი ჩაფიქრებული დასცქეროდა იატაკს, უცებ ასწია თავი, ერთხელ კიდევ გადაავლო ბიჭს თვალი და კართან მივიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



— წავალ, დავხედავ მაინც.

— მე ხომ არ დაგჭირდებით? — მიადევნა ექთანმა. ექიმმა ისევ შემოყო კარებში თავი.

— არა. თქვენ აქ დარჩით, ბიჭი გასაშუქებლად მოამზადეთ და ბარემ ანკეტაც შეავსეთ. — ექთანი ისევ მივიდა საწოლთან.

ბავშვი ხმას არ იღებდა.

— დედამ თუ იცის? — შეეკითხა მოწყალების და ბავშვს.

— დედა არა მყავს.

ქალმა ველარ გაბედა მამაზე ეკითხა რამე.

— აბა, ვის უნდა შევატყობინოთ?

— ჩემს უფროს ძმას, მაგრამ ის ახლა შინ არ იქნება. პატარებმა მაინც უნდა გაიგონ, ისინი მარტო არიან სახლში.

— რომელმა პატარებმა?

— ჰანსმა და ადოლფმა, ისინი ხომ მე მელიან, სანამ მივალ და საჭმელს მოვუმზადებ.

— უფროსი ძმა სად მუშაობს?

ბიჭი გაჩუმდა. ქალსაც აღარ გაუგრძელებია ძმაზე ლაპარაკი.

— უნდა ჩაიწეროთ?

მორიგე ექთანმა თავი დაუქნია და მედიკამენტებითა და სინჯარებით დახერგილ პატარა თეთრ მაგიდას მიუჯდა. სამელნე მოხსნა, კალამი ჩააწო და მარცხენა ხელით გაასწორა თეთრი ფურცელი.

— რა გვარი ხარ?

— ბეკერი.

— რელიგია?

— არავითარი. მონათლული არა ვარ.

მოწყალების და შეიჭმუხნა. მორიგე ექთანს გულგრილი სახე არ შერხევია.

— როდის დაიბადე?

— ოცდაცამეტში, ათ სექტემბერს.

— ჯერ ისევ სკოლაში დადიხარ, არა?

— ჰო.

— სახელი არ დაგავიწყდეს... — წასჩურჩულა მორიგე ექთანმა მოწყალების დას.

— ჰო, შენი სახელი?

— გრინი.

— როგორ? — ქალებმა ღიმილით გადახედეს ერთმანეთს.

— გრინი, — წყნარად გაიმეორა ბიჭმა და უხერხულობისაგან დაირცხვინა, როგორც, თავის სახელის თქმისას ირცხვენენ ისინი, ვისაც საჩოთირო სახელები ჰქვიათ.

— ბოლოში „ი“ ხომ?

— ჰო, „ი“, გრი-ნი.—ერთხელ კიდევ გაიმეორა მან.

ბიჭს ნამდვილად ლოენგრინი ერქვა, იგი დაიბადა 1933 წელს, მაშინ, როცა ჰიტლერის სურათები ბაიროითის დღესასწაულზეც კი გამოქონდათ ქუჩებში,[1] მაგრამ დედა მას ყოველთვის უბრალოდ გრინის ეძახდა.

უეცრად ოთახში შეშფოთებული ექიმი შემოიჭრა. თვალები დაქანცულობისაგან დანისლული ჰქონდა, თხელი ქერა თმები ასჩეჩოდა და უწესრიგოდ ჩამოშლოდა ახალგაზრდა, მაგრამ უკვე ჭაფით მოღლილ სახეზე.

— ჩქარა, ორივე წამოდით, იქნებ სისხლის გადასხმამ უშველოს. ჩქარა!

მოწყალების დამ ბიჭს გადახედა.

— ჰო, არა უშავს. დატოვეთ ერთი წუთით მარტო.

მორიგე ექთანი უკვე კარებთან იდგა.

— გრინი, დარჩები მარტო?—შეეკითხა მომვლელი ქალი ბავშვს.

— ჰო. — თქვა გრინმა.

მაგრამ, როცა ყველანი გავიდნენ, ცრემლები ღაპაღუპით ჩამოუვიდა თვალებიდან. თითქოს მოწყალების დის ხელი აკავებდა აქამდე ამ ცრემლებს. მას არაფერი არ სტკიოდა, არა, ეს მხოლოდ შვებისაგან მოგვრილი ცრემლები იყო, თუმცა მათში ტკივილიც ერია და შიშიც. გული ეკუმშებოდა, როცა ახსენდებოდა თავისი პატარა ძმები. გრინი ცდილობდა არ ეფიქრა მათზე. მხოლოდ უნდოდა ბედნიერებისაგან ეტირნა. არასოდეს უგრძვნია ასე კარგად თავი, როგორც ახლა, ნემსის გაკეთების შემდეგ. რაღაც საკვირველი ნაკადი ნელთბილ რძესავით ეღვრებოდა სხეულში და ერთდროულად თვლემასაც ჰგვრიდა და სიფხიზლესაც. პირში კი ისეთი სასიამოვნო გემო ჰქონდა, როგორც არასოდეს. მაგრამ პატარებზე ფიქრს მაინც ვერ იშორებდა თავიდან: „ჰუბერტი დილამდე ვერ დაბრუნდება, მამა სამ კვირაში ერთხელ თუ გამოივლის, დედა კი... ახლა პატარები სულ მარტონი იყვნენ. კარგად იცოდა, რომ ისინი ახლა ყურებდაცქვეტილნი ელოდნენ კიბეზე ფეხის ხმას, მათ უმნიშვნელო გახმაურებაც კი არ გამოეპარებოდათ. ამ კიბეებზე კი უამრავი ხალხი ადი-ჩამოდის... რამდენჯერ გაუცრუვდებოდათ იმედი პატარებს!. ...საეჭვო იყო, რომ ფრაუ გროსმანს მიეხედა მათთვის. მას არასოდეს არ მოსვლია აზრად ეს, და რაღა სწორედ დღეს მოეპრიანებოდა ასეთი საქციელი. ფრაუ გროსმანს ხომ არ ეცოდინებოდა, რომ გრინი... რომ გრინს უბედურება შეემთხვა. ჰანსი, ალბათ, ადოლფს დაუწყებდა დამშვიდებას, მაგრამ ჰანსი თვითონაც რომ უმწეოა? სულ პატარა რამ კმარა მის ასატირებლად. ისევ ადოლფი თუ ანუგეშებს ჰანსს. მერე რა, რომ სულ ხუთი წლისაა, სამაგიეროდ მაგარი ბიჭია. არა, ალბათ, ორივე იტირებს, რადგან საღამოს 7 საათის შემდეგ შიმშილით დაოსებულ ბავშვებს ჩვეულებრივი თამაშის ხალისიც კი ეკარგებათ. თანაც იცოდნენ, რომ ძმა რვის ნახევარზე მოვიდოდა და დააპურებდა მათ. თვითონ ხელს ვერ ახლებდნენ პურს, არა, ველარ გაბედავდნენ. მან ხომ სასტიკად აუკრძალა ძმებს პურის განაწილება მას შემდეგ, რაც ბიჭებმა ერთხელ მთელი კვირის ულუფა ერთბაშად შეჭამეს. აი კარტოფილის ჭამა კი შეიძლებოდა, მაგრამ ისინი არც კარტოფილს მიეკარებოდნენ ახლოს. ნეტავ ეთქვა, რომ კარტოფილის ჭამისათვის არ დატუქსავდა. ჰანსს მშვენიერად შეეძლო კარტოფილის მოხარშვა, მაგრამ არა, ისინი ვერც ამას ბედავდნენ. მაშინ მან მთელი კვირის სხურდის ერთად შესანსვლისათვის ძმებს დატუქსა და სცემა კიდეც. ნეტავ არ დაესაჯა... ახლა მშივრები მაინც არ იხსდებოდნენ.

ასე უცდიდნენ ბავშვები მუდამ. ისინი უმნიშვნელო ხმაურზეც კი წამოხტებოდნენ და კარის ჭუჭრუტანას მიაწყდებოდნენ. როგორ უხაროდათ გრინის გამოჩენა, მას შემდეგაც კი, როცა ორთავენი მიტყეპა. ახლა ყოველი ხმაური იმედს გაუცრუებდა პატარებს. შეეშინდებოდათ. ჰანსი, უბრალოდ, პოლიციელის დანახვაზეც კი კანკალებდა. ვინ იცის, ახლა, ალბათ, ისე ღრიალებენ, რომ ფრაუ გროსმანი გამწარებული ილანძღება, — მას საღამოობით ძალიან უყვარს სიმყუდროვე. ბავშვები რომ აღარ დაწყნარდებიან, ფრაუ გროსმანი მიაკითხავს მათ და უსათუოდ შეებრალება ისინი. ცუდი ქალი კი არაა ფრაუ გროსმანი, მაგრამ ჰანსი თვითონ არაფრის გულისათვის არ მივა მასთან. პატარას ისე ეშინია მისი... თუმცა რა, ჰანსს ხომ ყველაფრის ეშინია ამ ქვეყანაზე, კარტოფილი მაინც ეჭამათ.

ახლა, როცა ის პატარებზე ფიქრობდა, ცრემლები შეუჩერებლივ მოწანწკარებდნენ ლოყებზე. გრინმა სცადა ხელისგულით დაეფარა თვალები, რომ ბავშვების მოჩვენებები მოეშორებინა, მაგრამ მალე იგრძნო, რომ ხელი დაუსველდა და უფრო მაგრად ატირდა. „ახლა, ალბათ, ცხრა საათია, შეიძლება ათიც“, — გაიფიქრა მან და საშინელებისაგან გაქვავდა, იგი რვის ნახევარზე გვიან არასოდეს დაბრუნებულა შინ.

დღეს მცველები განსაკუთრებით ფხიზლად დარაჯობდნენ მატარებელს: ბავშვებს სიფრთხილე მართებდათ: ლუქსემბურგელი ჯარისკაცები ყოველთვის ხალისიანად ისროდნენ, თითქოს ომში ვერ ეძლოთ გული და ახლა ივსებდნენ დანაკლისს, მაგრამ გრინის არასოდეს მოცარვია ხელი, ყოველთვის მოხერხებულად უსხლტებოდა მათ. მოგროვილ ანტრაციტსაც არ თმობდა. მასში ხომ 60-80 მარკას აძლევდნენ. რამდენჯერ გაუცურებია ყინულზე რუსი, ამერიკელი და ბელგიელი მცველები. ახლა ამ სასაცილო ლუქსემბურგელებს უნდა ჩაეგდოთ ხელში? ის იყო მისწვდა ყუთს, ტომარაც გაავსო, ჩამოცურებაღა აკლდა, რომ მატარებელი უცებ გაჩერდა. შემდეგ აღარაფერი ახსოვს, გარდა



[1] ყოველწლიური დღესასწაული. იმართებოდა რიხარდ ვაგნერის პატივსაცემად, რომელიც ბაიროითში მოღვაწეობდა.



მწვავე ტკივილებისა, შემდეგ კართან რომ გამოფხიზლდა, ისევ ტკივილი, საშინელი ტკივილი და მერე კი ეს თეთრი ოთახი დაინახა. შემდეგ ნემსი რომ გაუკეთეს, ტკივილები დაუცხრა. ის ხელახლა ატირდა ბედნიერებისაგან. ბავშვებზე უკვე აღარ ფიქრობდა. ასეთი დიდებული რამ თავის სიცოცხლეში არ განეცადა. ყველაფერი შვების მომნიჭებელი იყო. ეს ცრემლებიც, ეს ციმციმა ტკბილი ბედნიერების განცდაც, რომელიც ულევად გადმოჩქეფდა ცრემლებთან ერთად მისი მკერდიდან, მთელი სხეულიდან.

ტკბილი ზმანება ლუქსემბურგელების ტყვიების ხმამ შეწყვიტა. ისევ მოესმა ავტომატის საზარელი კაკანი, ის უცნაური სუნიც შეიცნო ტყვიისწამლის, ნახშირის და კიდევ რაღაცის, რკინიგზის დამახასიათებელი სუნი, მოძალებული გაზაფხულის სუნთან შერეული. ტყვიამფრქვევის ორმა ჯერმა დაცხრილა ნაცრისფერი ცა, ექო კი, ათასჯერ გამეორებული, დაბრუნდა უკან, მის მკერდთან ახლტა რაღაც, თითქოს უჩხვლიტა კიდეც. არა, ამ წყეულმა ლუქსემბურგელებმა ვერ უნდა ჩაიგდონ ხელში, ვერ უნდა მოუღონ ბოლო!... ქვანახშირი, რომელზედაც ის გაჭიმული იწვა, მჩხვლეტავი იყო და მაგარი, მაგრამ ეს ხომ ანტრაციტია, ცენტნერ ანტრაციტში კი ხანდახან 80 მარკასაც აძლევდნენ. რა იქნებოდა ბავშვებისათვის ერთხელ მაინც ეყიდა შოკოლადი... არა, შოკოლადისათვის არ ეყოფოდა ფული, შოკოლადი 40 მარკა ღირს, ორმოცდახუთიც. ღმერთო ჩემო, ერთი ცენტნერი ორ ფილა შოკოლადში! არა, ასე ბევრს ვერ გადმოათრევდა ანტრაციტს... რა ძაღლები არიან ეს ლუქსემბურგელები, ისვრიან და ისვრიან. მას კი სტკივა, შიშველ ფეხებზე რომ ესობა ანტრაციტის წვეტიანი კოლბოხები. გრძნობს, რომ ფეხები მთლად გაეთხუპნა. ცა ისევ იცხრილება ტყვიებით. ცის ჩამონგრევას ხომ არ აპირებენ ლუქსემბურგელები? რა იქნებოდა, მართლა, რომ შეეძლოთ ცის ჩამონგრევა?...

შეიძლება გრინის არ უნდა დაემალა ექთანისთვის, სად არიან მამა და ჰუბერტი? თუმცა მათ ხომ არც უკითხავთ ეს. ისე კი რად უნდა ეთქვა. სკოლაში ასწავლეს, თუ არ შეგეკითხებიან, არ უნდა უპასუხოო. ლუქსემბურგელები... არა, ის არ ეტყვის ექთანს, სად არის მამა, ან ჰუბერტი, ან თვითონ სად დაიარება ღამღამობით... იქნებ პატარებმა სჭამეს კიდეც პური ან კარტოფილი... იქნებ ფრაუ გროსმანი მიხვდა, რომ რაღაც მოხდა, მართლაც ხომ მოხდა რაღაც... ალბათ, ჰერ რექტორიც ილანძღება ახლა... რა კარგი იყო ის ნემსი... მხოლოდ ჩხვლეტა იგრძნო და მაშინვე ხიმშვიდე დაეუფლა. იმ ფერმკრთალმა ექთანმა თითქოს ბედნიერებით გაავსო შპრიცი, მან ხომ კარგად დაინახა, როგორ უხვად ჩაასხეს იმ შპრიცში ბედნიერება, განა სულელი ბიჭია გრინი... ჰო... რა კარგია ბედნიერება... იქნებ პატარებსაც უყიდოს.., ყველაფრის ყიდვა შეიძლება... პურის... პურის მთების.., გრინი, უკეთესი სახელი ვერ შეურჩიეს?..."

— მონათლული არა ვარ! — წამოიყვირა მან უცებ. — ნეტავ დედა ცოცხალი იყოს. ლუქსემბურგელებმა მოჰკლეს იგი... არა, რუსებმა... ეშმაკმა იცის ვინ, იქნებ ნაცისტებმა... ან ამერიკელებმა... ნეტავ პატარებს მშვიდად შეეძლოთ პურის ჭამა, ბევრი პურის... როგორ უნდოდა მათთვის პური ეყიდა, პურის მთები... პურითა და ანტრაციტით მთელი ვაგონი სავსე... და ბედნიერება, ბედნიერებით სავსე შპრიცი.

ორი „ი" სახელში, დაწყევლილია!...

მოწყალების დამ ბავშვთან მოირბინა, მაჯა გაუსინჯა და შეშფოთებით მიმოიხედა ირგვლივ. ღმერთო ჩემო, იქნებ ექიმს დაუძახოს?... მას აღარ შეეძლო ზმანების სამყაროში გადასული ბავშვის მიტოვება. პატარა შრანცი უკვე მკვდარი იყო, პატარა რუსულ სახიანი გოგონა.,. ექიმი სადღა დაიკარგა! ქალი უმწეოდ აწყდებოდა შეზლონგს.

— მონათლული არა ვარ! — წამოიყვირა ბავშმა. მაჯა საცაა შეწყდებოდა. მომვლელ ქალს ოფლით დაეცვარა შუბლი.

— ექიმი! — დაიყვირა მან, მაგრამ თვითონვე მიხვდა, რომ მუშამბიან კარებში მისი ხმა ვერ გაატანდა.

ბავშვი ახლაც საბრალოდ კვნესოდა.

— პური... პურის მთები პატარებისათვის... შოკოლადი... ანტრაციტი. ლუქსემბურგელები, ეს ლორები რაღად ისვრიან, წყეულიმც იყვნენ... კარტოფილი... კარტოფილი შეგიძლიათ სჭამოთ... რატომ არა სჭამთ? ფრაუ გროსმანი... მამა... დედა... ჰუბერტი... კარის ჭუჭრუტანიდან...

მომვლელი ქალი შიშისაგან ატირდა. ბავშვსაც ველარ შორდებოდა. ბიჭი ბორგავდა. ქალს მაგრად ეჭირა მისი მხრები, რომ შეზლონგიდან არ გადმოსრიალებულიყო. პატარა შრანცი მოკვდა. მისი სული ცაშია უკვე, ღმერთმა შეუნდოს, შეუნდოს.. ის ხომ უმანკო იყო, პატარა ანგელოზი, პატარა, ქერუბიმი.., მაინც კარგი იყო საბრალო..,

— მე მონათლული არა ვარ! — ისევ წამოიყვირა ბიჭმა და ხელები გაასავსავა.

მოწყალების დამ უმწეოდ მიმოიხედა ირგვლივ. პირსაბანთან მიიჭრა, თან ბავშვს არ აშორებდა თვალს. ჭიქა ვერ იპოვნა და უკანვე გამოიქცა, სასოწარკვეთილმა ალმურმოდებული შუბლი დაისრისა. შემდეგ პატარა, თეთრ მაგიდასთან მიირბინა და სინჯარა აიღო. სწრაფად გაავსო. „ღმერთო ჩემო, რა ცოტა წყალი ჩადის სინჯარაში!..."

— ბედნიერება, — ჩურჩულებდა ბავშვი, — სულ აავსეთ შპრიცი, სულ, რაცა გაქვთ, პატარებისათვისაც...

ქალმა ნელა, საზეიმოდ გადაიწერა პირჯვარი, სინჯარა ბავშვის შუბლზე დასცალა და აცრემლებულმა წაილუღლუღა: — ნუ გეშინია, შენ უკვე მონათლული ხარ...

ცივი წყლისაგან გამოფხიზლებულმა ბავშვმა ისე სწრაფად წამოსწია თავი, რომ ქალს სინჯარა ხელიდან გაუვარდა და იატაკზე წკრიალით დაიმსხვრა. ბიჭმა უილაჯო ღიმილით შეხედა შემკრთალ ქალს და ძლივს ამოთქვა:

— მომნათლეთ?

— ჰო,...

შემდეგ ძლიერად გადაქანდა უკან და ყრუ ხმაურით დავარდა შეზლონგზე. უძრავად მწოლიარეს სახე დაუგრძელდა და საზარელი ყვითელი ფერი დაედო. თითქოს დაბერდა კიდეც. ხელები ისე დაეკრუნჩხა, თითქოს რაღაცის ჩაბღუჯვას ცდილობსო.

— რენტგენზე გასაშუქებლად გყავდათ? — დაიძახა ექიმმა, რომელიც ლომეიერთან ერთად მხიარულად შემოვიდა ოთახში. ქალმა უხმოდ გააქნია თავი. ექიმი ახლოს მოვიდა საწოლთან და მოიმარჯვა სტეტოსკოპი, მაგრამ მაშინვე ხელიდან გააგდო და ლომეიერს შეხედა. ლომეიერმა ნელა მოიხადა ქუდი.

ლოენგრინი მკვდარი იყო.

გერმანულიდან თარგმნა დ. ფანჯიკიძემ.





ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბოლო ოფიციანტი

იუმორისტული მოთხრობა

სოფლიდან დიდი იმედებით გამომისტუმრა მამამ, მაგრამ მისაღებ გამოცდებზე ჩავიჭერი. ახლა მხოლოდ ინსტიტუტის დაუსწრებელ სექტორზე შეიძლებოდა მოწყობა, ამისათვის საჭირო იყო სადმე მემუშავნა და ინსტიტუტში მუშაობის ცნობა წარმედგინა. ამ ცნობას ჩვენი სოფლის კოლმეურნეობაშიც მომცემდნენ, მაგრამ მამის შიშით იქ აღარ წამესვლებოდა. მუხლებში ჩავუვარდი ბიძაჩემს, შევევედრე, თავი შევაცოდე. შეწუხდა, დატრიალდა და, ბოლოს, როგორც იქნა, ოფიციანტად მომაწყო თბილისის ერთ-ერთ რესტორანში. მე მინდა გიამბოთ, თუ როგორ ჩაიარა ჩემი ოფიციანტობის პირველმა და უკანასკნელმა ღამემ.

...მთელი რესტორანი გაივსო ხალხით, მხოლოდ ჩემი სამი მაგიდა იყო ცარიელი, არავინ ჯდებოდა, ალბათ, ყველა ნაცნობ ოფიციანტთან ქეიფს იყო შეჩვეული, დალაქისა არ იყოს. ვღელავდი, ნუთუ ისე გათავდება დღე, ესე იგი ღამე, რომ ჩემთან არავინ დაჯდება? ამ ფიქრებით ვიყავი შეპყრობილი, როცა რესტორნის კარი გაიღო და ორი ახალგაზრდა ყმაწვილი შემოვიდა. გული ამიძგერდა სიხარულისაგან, ყველა მაგიდა დაკავებული იყო და, რა თქმა უნდა, ერთ-ერთ იმ მაგიდათაგანს მიუსხდებოდნენ, რომელსაც მე ვემსახურებოდი. მართლაც შეამჩნიეს ცარიელი მაგიდა და ჩემსკენ გამოეშურნენ. მენიუ მოვიმარჯვე და, ის ყმაწვილები დამსხდარნიც არ იყვნენ, რომ ხელში მივაჩეჩე: ინებეთ და ამოირჩიეთ, რაც გენებოთ-მეთქი. მენიუ გაშალეს, მაგრამ შიგ არ ჩაუხედავთ, ისე მკითხეს:

— რას გვაჭმევ?

— რა გნებავთ, ბატონო? ბატკნის ხორცს შეგიწვავთ, გოჭიც არის. თუ ნასადილევი არ ბრძანდებით, ყაურმა ან ჩიხირთმა მიირთვით, ანდა...

შევამჩნიე, რომ ყმაწვილები ყურადღებას არ აქცევდნენ ჩემს სიტყვებს, ბჭობდნენ, თუ რა შეეჭამათ და რომელი ნომერი დაელიათ. სწორედ ამ დროს მეზობელი მაგიდიდან მოისმა ძახილი:

— კოტე! ანზორ!

ჩემი კლიენტები შებრუნდნენ, გაიღიმეს, ხელები მაღლა ასწიეს და მეზობელ სუფრასთან მსხდომებს მიესალმნენ.

— ერთი წუთით, თუ შეიძლება! — გაიმეორა მეზობელმა მაგიდამ. კოტე და ანზორი ზლაზვნით წამოდგნენ და წავიდნენ.

აბა, სუფრა დაგვილოცეთო, უთხრეს და თითოთითო ჩაის ჭიქა დაალევინეს, მერე პურის ნატეხი გაუწოდეს მათხოვრებივით, აბა, ახლა, ვინც ჩვენ ვადღეგრძელეთო, და ხელახლა აუვსეს ჭიქები.

ვიდექი ჩემს ცარიელ მაგიდებთან და ვფიქრობდი, შექვეთა მაინც მოესწროთ იმ დალოცვილებს, ამასობაში ყველაფერს მოვიტანდი-მეთქი.

ის იყო მეოთხე ჩაის ჭიქა დაცალეს ჩემმა პირველმა კლიენტებმა და გულზე ხელის მიდებით და ერთის ამბით დაემშვიდობნენ სუფრის წევრებს, რომ ახლა საიდანღაც კიდევ მოისმა ძახილი:

— კოტე, ანზორ, ერთი წუთით აქეთ გამოიარეთ!

ამ დროს ჯაზ-ორკესტრი აზრიალდა და კოტესა და ანზორის პასუხი შესაბამისად საქსაფონმა და კლარნეტმა ჩაყლაპა. მიმპატიჟებელი შეეგება ჩემს კლიენტებს და სუფრასთან მიიწვია. შორიდან ვხედავდი ოქროსფერი კონიაკით ავსებულ ჭიქებს, რომლებსაც პირზე იყუდებდნენ კოტე და ანზორი და მერე ნელ-ნელა ხელში აღნობდნენ. ასე „გაადნეს“ მათ ხუთას-ხუთასი გრამი ოქრო და დამძიმებულნი და ბედნიერებით დამთვრალნი ჩემსკენ წამოზიგზაგდნენ. ეს ორი ზიგზაგი გზაში რამდენჯერმე შეეხალა ერთმანეთს, შეეხალა სხვა ზიგზაგებსაც და ბოლოს ჩემს მაგიდასთან დაბრუნდნენ.

კოტემ და ანზორმა თავები მაგიდაზე დაყარეს და ხვრინვა ამოუშვეს. როცა ჯაზს კიდევ წამოუარა ბნედამ, მხოლოდ მაშინ გაეღვიძათ ჩემს კლიენტებს. კოტემ ქორს მაცქერალი კრუხივით ამომხედა და წამოიყვირა:

— ანგარიში! — და ხელი ჯიბეზე გაისვა.

— რის ანგარიში, ბატონო, ბორჯომს მოგართმევთ, გეამებათ, — შევთავაზე მე.

— ბორჯომი თა-თავის დროზე... უნ-უნდა მოგემოგე-ტანა! — ასლოკინდა ანზორი. ჯიბეში ჩაყოფილი ხელი გაუკავა კოტეს და თვითონ ამოიღო ასიანები.

— აბა, მაგისთანები არ იყოს, — უთხრა კოტემ.

— მე... დაგ-დაგპა-ტიჟე, და მე ვიხ-ვიხ-ვიხდი!

— არაფერი მერგება თქვენგან, გენაცვალე, არაფერი გიჭამიათ და გისვამთ, — გავახსენე მე.

— შენ დას-დას-ცინე შენს შვი-შვი-ლებს, — თვალები დამიხამხამა ანზორმა, სუფრაზე სამი ასმანეთიანი დააგდო და გათელილი ბალახივით სცადა ფეხზე წამოდგომა.

მალე ერთმანეთს ხელგადახვეულნი ძლივს იკვლევდნენ გზას მაგიდების ორღობეებში, მე მივსდევდი და ვარწმუნებდი, ფული უკან წაეღოთ, რადგან მათგან არაფერი მერგებოდა. ვარწმუნებდი მანამდე, სანამ ანზორმა საყელოში ხელი არ ჩამავლო და მაგრად არ შემანჯღრია:

— რას... რას მოგ-მოგ-ვდევ, ვა-ვაგონ რეს-რესტორანი ხარ?

ხელი არ შემიბრუნებია, ეგლა მაკლდა, გავძარცვე ხალხი და ახლა მუშტიც ვურტყა? ეს, რა დამემართა, ეს ხომ ნაღდი ქურდობაა, როგორ მოვიშორო ეს სხვისი ფული? შევტრიალდი და რესტორნის დირექტორის კაბინეტს მივაშურე. დირექტორი კარებში შემეფეთა, როდესაც ხელში ფული დამინახა, სასწრაფოდ შებრუნდა, კარები მიკეტა. ფული ხარბად წამგლიჯა ხელიდან, გადათვალა და... უკან ჩამჩარა ჯიბეში.

— ორასი მანეთი აკლია! — ცივად თქვა მან.

— როგორ, ბატონო, სამასი იყო და ორასი როგორ აკლია?

— ჩვენ ხუთასზე ვართ მორიგებული!

— მორიგებული? ხუთასზე? — გაურკვევლობამ პირი დამაღებინა. აქ რაღაც ამბავია, რომელსაც ჩემი უცოდინარობისა და გამოუცდელობის გამო ვერ ვხვდები-მეთქი. ყოველ შემთხვევაში, რადგან დირექტორი ასე ამბობს, ალბათ, ასეც უნდა იყოს-მეთქი. თავქუდმოგლეჯილი გავვარდი ქუჩაში, ძლივს დავეწიე მობანცალე ყმაწვილებს, სულთამხუთავივით თავზე დავადექი და დავჭყივლე:

— აი, თქვე გაიძვერებო, ახლავე ორასი მანეთი დაყაჭეთ!

კოტე შეცბა, ანზორმა დაიმორცხვა, ორივემ ჯიბეებში ხელების ფათური დაიწყეს.

— არ, არ გვი-გვი-გვიანგარიშე, ძმაო და, რა, რა ჩვენი ბრა-ბრალია. — ანზორმა ხელში თავისი პასპორტი ჩამჩარა და დაუმატა, — ხვა-ხვალ მომოგართმევთ ფუ-ფულს.

გახარებული ისევ დირექტორის კაბინეტში შევვარდი, დირექტორი, ეტყობა, მელოდებოდა.

—ა, ბატონო, მიირთვით! — ვუთხარი მე და სამ ასმანეთიანს ზევიდან პასპორტი დავადევი. დირექტორი ნაკვერჩხალზე გამსკდარი წაბლივით შეხტა და მასაც ანზორივით დაება ენა:

— მე საპ-საპ-საპასპორტო მაგ-მაგიდა ნუ... ნუ გო-გო-გგონივარ, გაე-გაე-თრიე-თრიე! — და პასპორტი და ფული ბუმერანგივით მესროლა, თუმცა უკან მხოლოდ ფული დაუბრუნდა.

—არ-არ-არაფერი... მეს-მეს-მესმის! — ვთქვი მე.

ეს იყო ჩემი უკანასკნელი ოფიციანტური სიტყვები.

**ომეგა ალფაიძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

საჯარო ბიბლიოთეკა თბილისი

# ხელოვნური ტვინი

მეცნიერების დოქტორი პროფესორი ლევ გუტენმახერი ასეთ შემთხვევას იგონებს ისტორიიდან:

ტომას ალვა ედისონი გულისტკივილით შესჩიოდა ალბერტ აინშტეინს:

— ვერაფრით მოვნახე მემკვიდრე და იძულებული გავხდი გამომეცხადებინა სპეციალური კონკურსი, მაგრამ ჯერჯერობით კონკურსში ვერავინ გავიდა.

— როგორ განსაზღვრავთ პრეტენდენტის უნარს? — დაინტერესდა დიდი ფიზიკოსი.

— მე დავამუშავე მთელი სისტემა, — და ედისონმა მაგიდის უჯრიდან ამოიღო დაკეცილი ფურცელი — აქ შევიტანე შეკითხვები, ვინც უკეთესად მიპასუხებს, ის გახდება ლაბორატორიის ხელმძღვანელი ჩემი სიკვდილის შემდეგ.

— საინტერესოა, — აინშტეინმა სათვალეები გაიკეთა და ედისონს ფურცელი ჩამოართვა.

„რამდენი მილია ნიუ-იორკიდან ჩიკაგომდე?“ — ასეთი იყო პირველი შეკითხვა.

ფიზიკოსს გაეღიმა.

— საჭიროა რკინიგზის ცნობარში ჩაიხედოს კაცმა.

„რისგან მზადდება უჟანგავი ფოლადი?“

— პასუხი ლითონმცოდნეობის წიგნში უნდა მოინახოს, — სთქვა აინშტეინმა.

ასეთივე პასუხები გასცა სხვა კითხვებზე და ბოლოს ედისონს უთხრა:

— არ დაველოდები თქვენს უარს და წინასწარ ვხსნი ჩემს კანდიდატურას.

ედისონიც და აინშტეინიც მართალი იყვნენ. სახელგანთქმულ გამომგონებელს უნდოდა მომავალი მემკვიდრე ყოველმხრივ განვითარებული ადამიანი ყოფილიყო. აინშტეინი თავის მხრივ გადაწყვეტის სწორ გზას იძლეოდა.

რატომ დასჭირდა დღეს ამ ამბის გახსენება ცნობილ საბჭოთა მეცნიერს, 100-ზე მეტი გამოგონების და 75 სამეცნიერო შრომის ავტორს?

საქმე ის არის, რომ ყოველი ადამიანის ცოდნა და მისი შრომის ნაყოფი დამოკიდებულია სრულ და ზუსტ ინფორმაციაზე.

სად არის თავმოყრილი სრული ინფორმაცია? — ამ კითხვაზე ყოველ მოსწავლეს შეუძლია პასუხი გასცეს — ბიბლიოთეკებშიო.

მაგრამ რაც დრო გადის, უფრო ძნელდება ყოველი ნაბეჭდი ნაშრომის გაცნობა, კაცობრიობამ თავისი არსებობის მანძილზე 50 მილიონზე მეტი ნაბეჭდი შრომა შექმნა და მარტო პატენტების რიცხვი 5 მილიონს აღწევს. ყოველწლიურად გამოდის 200 ათასზე მეტი წიგნი და ჟურნალი.

როგორ ადევნოს სპეციალისტმა თვალყური ინფორმაციის ასეთ ნაკადს.

იქნებ ჩვენ მეხსიერებას დავეყრდნოთ ინფორმაციის მიღების დროს. არა. 15 მილიარდი პაწაწინა დეტალი, რომელიც თავის ქალის ქვეშ ინახება, საქმეს ვერ შველის. ადამიანი აღარ არის კმაყოფილი თავისი მეხსიერებით. არ არსებობს ადამიანი, რომელმაც თუნდაც ზეპირად იცოდეს დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის მხოლოდ ერთი ტომი. უფრო მეტიც, ვერავინ დაიმახსოვრებს 100 ზედიზედ ნათქვამ ციფრს.

და აი, სწრაფმოქმედი ელექტრონული მანქანების კონსტრუქტორებსა და ინჟინრებს დაებადათ იდეა შექმნან ხელოვნური ტვინი, რომელშიც შენახული იქნება უჩვეულოდ დიდი რაოდენობის ინფორმაცია.

დამამახსოვრებელმა მოწყობილობამ — ხელოვნურმა ტვინმა უნდა შესძლოს წამში 30.000 გვერდის გადაკითხვა, ხოლო 16 საათში — ორ სამუშაო დღეში — გადაათვალიეროს ყველაფერი, რაც მოსკოვის ლენინის სახელობის ბიბლიოთეკაში ინახება!

კოდირებული ინფორმაციის მოძებნის შემდეგ მოწყობილობამ უნდა გასცეს ის ან ნაბეჭდის სახით, ანდა, ჩვეულებრივი სიტყვების წარმოთქმით, მანქანას ლაპარაკიც უნდა შეეძლოს. იქნებ ისიც მოხდეს, — აცხადებს პროფესორი გუტენმახერი — რომ წამკითხველმა მოწყობილობამ შესძლოს სათანადო ტექსტის წაკითხვა ცნობილი მწერლების ხმით, ანდა, ლექსი — პოეტის სიტყვებით. მოწყობილობამ ხმით შეიძლება მიბაძოს რომელიმე სახელგანთქმულ მსახიობს.

თქვენ იღებთ ხელში ჩვეულებრივ ყურმილს, კრებთ ხელოვნური ტვინის ნომერს და მერე შეკითხვას იძლევით. მხოლოდ რამდენიმე წამში, მანქანა ელვის სისწრაფით პოულობს პასუხს და ტელეფონში ჩვეულებრივი ადამიანის ხმა გესმით. ის შეკითხვაზე ზუსტ პასუხს იძლევა...

შორს არის თუ არა ეს დრო ჩვენგან? ძნელია პასუხის გაცემა.

ხელოვნური ტვინი დღეს არავის ეჩვენება დაუჯერებლად და ეჭვი არ არის, ბევრი ჩვენი მკითხველი გიგანტური ტვინის შექმნის მოწმე გახდება.

**ა. ციხკარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა




# მოთამაშე მანქანები

ამერიკელმა მეცნიერმა დ. ჰაგელბარგერმა შექმნა მოაზროვნე მანქანა, რომელიც ადამიანს ეთამაშება ე. წ. „ორიოლსა“ და „რეშკას“. მანქანის ანთებული ნათურა ნიშნავს „ორიოლს“, ჩამქრალი — „რეშკას“. მოთამაშე ადამიანი წინასწარ უცხადებს იქ დამსწრეთ, თუ რას ითამაშებს (მანქანას სმენა არა აქვს), შემდეგ აჭერს ღილაკს და „წინადადებას აძლევს“ მანქანას ითამაშოს. ამის შემდეგ იგი აცნობებს მანქანას თავის სვლასაც და მანქანა იწერს შედეგს — წაგებას ან მოგებას. ერთნაირი არჩევანის შემთხვევაში იგებს მანქანა (ორივე „ორიოლი“, ორივე „რეშკა“), საწინააღმდეგო შემთხვევებში აგებს. ჩვეულებრივ, ეს თამაში ადამიანებს შორის ყაიმით თავდება, მაგრამ თუ ერთ-ერთი მათგანი ეშმაკია მოწინააღმდეგეზე, იგი ხვდება პარტნიორის თამაშის პრინციპს და ხშირად თავის სასარგებლოდ მიჰყავს თამაში. ამ ეშმაკი ადამიანივით იქცევა მოაზროვნე მანქანაც. პირველ სვლებს, როგორც წესი, იგი აგებს, მაგრამ მერე, ხვდება რა ადამიანის თამაშის პრინციპს, იგებს მანამდე, სანამ ადამიანი არ შეცვლის თავის ტაქტიკას. 9795 პარტიიდან მანქანამ მოიგო 5218. მოგვყავს სქემა, სადაც ნაჩვენებია მანქანისა და ადამიანის თამაში. ასო V აღნიშნავს იმ მომენტებს, როდესაც მანქანამ შეიცნო ადამიანის თამაშის ტაქტიკა და „განაცხადა“, რომ ამის შემდეგ იგი ყველა პარტიას მოიგებდა, მაგრამ ადამიანი ცვლის ტაქტიკას და მანქანა კვლავ იძულებულია მოძებნოს ახალი გასაღები.

რა პრაქტიკული გამოყენება ექნება ასეთი ტიპის მანქანებს ცხოვრებაში? მაგალითად, მან შეიძლება იმუშაოს ქალაქის სატელეფონო სადგურში. შეისწავლოს სატელეფონო გრაფიკი და თანდათანობით შეეგუოს მას. მანქანა მალე შეამჩნევს, რომ დღისით გამოძახებები უდიდესი რაოდენობით ხდება ქალაქის საქმიან რაიონებიდან, ღამით კი — საცხოვრებელი უბნებიდან. და შესაბამისად შეამზადებს თავის აპარატს, მაგრამ მას ექნება უნარი შესცვალოს თავისი აზრი იმ შემთხვევაში, თუ, მაგალითად, ქალაქის საქმიან რაიონში ხანძარი გაჩნდება ღამით.

იმის წარმოსადგენად, თუ რა ბევრს მოითხოვენ მეცნიერები ასეთი მანქანებისაგან, გავიხსენოთ, რომ ადამიანს აქვს 10 მლნ. ნეირონი, ყველაზე „სულელ“ ჭიანჭველას — 200 ნეირონი, აქ აღწერილ მანქანას კი მხოლოდ — 100 რელე.

კიბერნეტიკაში მომუშავე მეცნიერები ცდილობენ შექმნან მანქანები, რომლებიც მიბაძავდნენ დაბალი განვითარების ცხოველთა გარეგნულ გამოვლინებებს და მათ ზოგიერთ ჩვევებს. მაგალითად, უ. ეშბიმ ინგლისში შექმნა ხელსაწყო, რომელიც ბაძავს მძინარე კატას. თუ მას ხელს ჰკრავთ, იგი იღვიძებს, ეძებს ხელსაყრელ, მოხერხებულ მდგომარეობას და კვლავ განაგრძობს კრუტუნს.

შექმნილია მანქანა, რომელიც არა ნაკლებ ცნობისმოყვარეა, ვიდრე უცხო ეზოში შესული ძაღლი. მანქანა დარბის ოთახში, მოივლის ყველა კუთხეს, ამასთანავე იგი გვერდს უვლის ყოველ წინააღმდეგობას და თავის თავს ცნობს სარკეში. და ბოლოს, ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ბატარეაში ენერგიის დაცლის წინ იგი ბრუნდება თავის „ჯიხურში“ ახალი საკვების მისაღებად.

მალე ამ „ძაღლს“ გამოუმუშავებენ რეფლექსს, რომ „სინათლე (იგი ისწრაფვოდა სინათლის წყაროსაკენ) ნიშნავს ბგერას“, და ყოველ დასტვენაზე ძაღლი პატრონთან მიირბენს.

მეცნიერები ფიქრობენ შექმნან ფეხბურთის მოთამაშე მანქანები, რომლებიც დაედევნებიან ანთებულ მრგვალ ნათურას. შესაძლებელია, აგრეთვე, მანქანებს გაუჩნდეთ ხურდა ფულის სიყვარული, შეაგროვონ „ქონება“ და დახარჯონ, როცა კი მოესურვებათ, ჩააგდონ ავტომატში და დაუკრან „საყვარელი“ გრამფირფიტა.

ძალზე საინტერესო ექსპერიმენტი იქნება, თუ მექანიკურ ცხოველთა საზოგადოებაში შეუშვებენ ბოროტმოქმედს, რომელიც ხურდა ფულს მოჰპარავდა სხვებს. ამას, რა თქმა უნდა, ვერ მოითმენდნენ მანქანები და ღირსეულად დასჯიდნენ ქურდს. საინტერესოა, მიხვდება თუ არა ამის შემდეგ ბოროტმოქმედი, რომ ქურდობა „კანონით ისჯება“?

**ე. მარიამიძე**



# ვანო სარაჯიშვილის მეგობარი

— ილია ბროძელი? ძია ილიკო?! აქ ცხოვრობს, — მითხრეს ბავშვებმა და მიმითითეს პატარა, მზით განათებულ ცისფერ აივანზე.

ოთახში შევაბიჯე და ოჯახის უფროსს გავუწოდე ხელი. ჩემს წინ იდგა კაფანდარა მოხუცი, ხშირი, თეთრი წარბებით. კედელზე ეკიდა მსახიობების ფოტოსურათები, დროთა ვითარებისაგან გაყვითლებული. ერთ-ერთ ფოტოზე წავიკითხე: „ძვირფას ილუშას, ერთად მუშაობის მოსაგონარად. სერგეი ლემეშევი".

ცოტა რამ უკვე ვიცოდი ამ მოხუცზე. ვიცოდი, მაგალითად, რომ ამ ორიოდე წლის წინათ მას თეატრში მუშაობის ნახევარი საუკუნე შეუსრულდა, რომ ის ახლაც მუშაობს იქ მკერავად, თუმცა მას, უკვე კარგა ხანია აქვს პენსიაზე გასვლისა და უზრუნველი ცხოვრების უფლება მოპოვებული.

ჩვენ ვუზივართ მაგიდას და ვსაუბრობთ. ის ლაპარაკობს დინჯად.

„პატარა ბიჭი ვიყავი, როდესაც მშობლებმა შეგირდად მიმაბარეს მკერავთან. როდესაც თვრამეტი წლის გავხდი, ჩვენთან მოვიდა მამაჩემის მეგობარი და მითხრა: „გინდა, ილიკო, მოგაწყობ თეატრში?" მაშინ დამოუკიდებელ მუშაობაზე ვოცნებობდი და, რა თქმა უნდა, დავთანხმდი. დილით ვკერავდი კოსტუმებს, საღამოს კი სცენაზე გასვლის წინ, მსახიობებს ვაცმევდი. მაშინ ჩვენთან ჩამოდიოდნენ გასტროლებზე ყველა კუთხიდან. ზოგს შეიძლება ჩემი სამუშაო არაფრად მოეჩვენოს, სინამდვილეში კი ეს არც ისე ადვილია. კოსტუმი უნდა გააუთოო, მსახიობის ფიგურას მიუყენო, უნდა შეასწორო, შეხედო, როგორ გრძნობს მსახიობი ტანსაცმელში თავს. ასე, ნემსით ხელში, კულისებში მოვისმინე ყველა ოპერა. და, აი, მოვიდა ჩვენთან ვანო სარაჯიშვილი და ყველაფერი შეიცვალა. თითქოს მზე ამობრწყინდა ჩვენს სცენაზე. ვანო ცოცხლად მიდგას თვალწინ, მაღალი, შავთვალება, ტყავის ჯუბით, ნაცრისფერი კრაველის ფაფახით... ხანდახან, სანამ ვანოს ვაცმევდი, ერთმანეთისთვის ყველაფრის მოყოლას ვასწრებდით. ვანომ მაშინ ჩაიფიქრა ქართულ ენაზე აემღერებია კლასიკური ოპერები, ბევრი ამის წინააღმდეგი იყო, ქართული ენა სხვა ბუნებისაა და ოპერისათვის არ არის ტკბილხმოვანიო. ვანო კი მღეროდა, ჯერ ჩვენთან გარდერობში, შემდეგ სცენაზე. და დაიდგა ქართულ ენაზე: „სევილიელი დალაქი", „ტრავიატა", „დემონი", სულ სხვანაირად შევიგრძენი მშობლიურ ენაზე ოპერები.

აი, ამ ხელებმა შეუკერეს კოსტუმი პირველ აბესალომს. ოოჰ, რა დღეები იყო?!

ვანო ჩემს ახლოს ცხოვრობდა, სასამართლოსა და ბარნოვის ქუჩის გადაკვეთაზე. მეორე სართულზე, პატარა ოთახში. მასთან ყოველთვის მრავალი სტუმარი იყრიდა თავს. როდესაც სეზონი მთავრდებოდა ხოლმე, მე მიმქონდა მასთან კოსტუმები და ერთად ვალაგებდით ზანდუკში. ხანდახან ვეტყოდი ხოლმე, „შენ ხომ ცნობილი მომღერალი ხარ, ვანო, ერთ ოთახში კი შეყუჟულხარ, სტუმრები მაინც შეიცოდე". ის კი იცინოდა და ხელს იქნევდა: „ჩემო ილია, ამ ქვეყნად ყველა სტუმრები ვართ".

ძველ მეტანსაცმელეს თვალი კვლავ აუცრემლდა. იგი დადუმდა და ზურგი შემომაქცია.

ჩვენ ვდუმდით. უკვე გამომშვიდობებას ვაპირებდი. იგი უცებ შემოტრიალდა, თვალები უბრწყინავდა.

— ახლა კი, იცით რა ახალგაზრდები გვყავს? ვერ გავძეხი მათი სიყვარულით. სულ მათთან ყოფნა მინდა. თენგიზ მუშკუდიანი, ნოდარ ანდღულაძე, ლეილა გოცირიძე... ყველა ისინი ნიჭიერები არიან. უყვართ სცენა! მე ხომ მათ ბაბუად ვერგები, მაგრამ ჩვენ ხელოვნება გვაახლოებს. რა თქმა უნდა, მე მათ ვერ შევედრები. ჩემი სახელი პროგრამაშიც კი არასოდეს იხსენიება, მაგრამ მე მაინც მათთან ვარ, რამპებთან, თუმცა მაყურებელი ვერ მხედავს.. აი ასე გავატარე თეატრში 52 წელი".

**ქ. წერეთელი**

# ლაპარაკობენ „დროშის" მკითხველები

ამა წლის 13 ივნისს, ყვარელში ჩატარდა ჟურნალ «დროშის» მკითხველთა კონფერენცია. დიდი დარბაზი სავსე იყო კოლმეურნეებით, რაიონის მოწინავე ადამიანებით. «დროშის» რედაქტორმა გრიგოლ აბაშიძემ დაამსწრეებს უამბო ჟურნალის მუშაობაზე, მომავალ სამუშაო გეგმებზე, იმ ღონისძიებებზე, რომელთაც რედაქცია ღებულობს, რათა ჟურნალი კიდევ უფრო საინტერესო გახდეს.

კამათში გამოსული ამხანაგების სიტყვებიდან ნათლად ჩანდა, თუ ისინი როგორი ინტერესით ადევნებენ თვალყურს «დროშას» და როგორ არიან დაინტერესებულნი ჟურნალის მუშაობით.

კამათში მონაწილეობა მიიღეს პოეტმა ილო ბეროშვილმა, მოსწავლემ ანასაშვილმა, გეოლოგმა ო. სამხარაულმა, ექიმმა ირაკლი ჩიგოგიძემ, რაიონული გაზეთის რედაქტორმა დ. ლაფაჩიშვილმა და მევენახეობის ბრიგადის წევრმა, კოლმეურნე ლ. ბრეგვაძემ.

**ილო ბეროშვილმა** ილაპარაკა ჟურნალში გამოქვეყნებულ მხატვრულ პროდუქციაზე და აღნიშნა, რომ ახალგაზრდა ლიტერატორების ბეჭდვისას საჭიროა მათი ნაწარმოებების მკაცრი შერჩევა.

**გეოლოგი ო. სამხარაული** რედაქციას თხოვს, რომ ჟურნალი პოლიგრაფიულად უფრო უკეთ იბეჭდებოდეს. ტექნიკის ასეთი მიღწევების დროს პოლიგრაფიულ მუშაკებს არ ეპატიებათ ჟურნალის ბეჭდვისას დაშვებული ბევრი დეფექტი.

**მოსწავლე მ. ანსაშვილმა** უკმაყოფილება გამოთქვა „საიუზპეჩატის" მიმართ, — აქაურ კიოსკებში ჟურნალი ძალზე ცოტა მოდის და მკითხველთა მოთხოვნილებას არ ითვალისწინებენო.

**ექიმ ი. ჩიგოგიძეს** სურს, რათა ჟურნალის ფურცლებზე უფრო მეტი ინფორმაცია იბეჭდებოდეს მეცნიერებისა და, კერძოდ, მედიცინის მიღწევათა შესახებ. იგი მოითხოვს, ჟურნალის ყოველ ნომერში მოთავსდეს მასალა სახალხო დემოკრატიული ქვეყნებისა და, საერთოდ, საზღვარგარეთის ცხოვრებაზე.

**დ. ლაფაჩიშვილის** აზრით ჟურნალი „დროშა" კიდევ უფრო პოპულარული გახდება, თუ რედაქცია ეცდება ჟურნალში უფრო ფართოდ მოიზიდოს ჩვენი ქვეყნის ცნობილი მწერლები და მეცნიერებისა და ტექნიკის მუშაკები.

**კოლმეურნე ლ. ბრეგვაძეს** უნდა, ჟურნალი მეტს სწერდეს სოფლის მეურნეობის ადამიანებზე, მათ ყოველდღიურ საქმიანობაზე, მათ მისწრაფებებზე, შრომითი მიღწევებზე.


ეროვნული ბიბლიოთეკა











ეროვნული ბიბლიოთეკა

## ცოცხალი წებო

ქალაქ ოკლენდის სამხედრო-საზღვაო ჰოსპიტალში აქვე შემუშავებულ წებოს საშუალებით ძაღლის ყბაში ჩასვეს კბილი. როგორც პრესა იტყობინება, უკვე წელიწადია ის კბილი კარგად ემსახურება თავის პატრონს.

ადამიანებზე ჯერ ცდა არ ჩაუტარებიათ, მაგრამ მეცნიერები ძალზე დაიმედებული არიან. აღნიშნული წებო შედგება იმ ნივთიერებებიდან, რომლებსაც შეიცავს ადამიანის ძვალი: კალციუმი, ფოსფორი და გლიკოგენი — გარდა ამისა, უმატებენ ფისისებრ პოლიეთერულ მასალას და კატალიზატორებს.

## კალიებისაგან დამზადებული სადილი

არავის წარმოედგინა, რომ ფრინველების საკვები გამოადგებოდა ადამიანს, მაგრამ გამოირკვა, რომ, მაგ. ტერმიტები ძროხის ხორცზე რამდენჯერმე უფრო მსუყეა — 100 გრამ ძროხის ხორცში 130 კალორიაა, მაშინ, როცა იმავე წონის შემწვარი ტერმიტები შეიცავენ 560 კალორიას.

გასული საუკუნის დამლევს ამერიკასა და ევროპაში წარმოიშვა საჭმლის გამრავალფეროვნების იდეა. ამას მხარს უჭერდნენ ცნობილი მეცნიერები. გამოიცა ასეთი სახელწოდების წიგნიც: „რატომ არა ვჭამთ მწერებს?“

ბიოლოგმა რილეიმ მისისიპში ჩაატარა ცდა — მივიდა რესტორანში, შეუკვეთა კერძი კალიებისაგან და მოიწვია ყველა მსურველი. სადილის დასასრულს სტუმრებმა აღიარეს, რომ წვნიანი, შემწვარი შეჭამადი და განსაკუთრებით ტკბილეული — საუცხოვოაო.

პარიზის ენტომოლოგიური საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტმა მოუწოდა ხალხს, რომ ტყის გამანადგურებლის — მაისის ხოჭოს მოსპობას ხელს შეუწყობს მისი საჭმელად გამოყენება, — ეს სასიამოვნოც იქნება და სასარგებლოც.

გარეკანის პირველ გვერდზე—ფიქალი. ფოტო გ. თიკანაძისა
მეოთხე გვერდზე—კახეთის გზაზე
ფოტო ო. თურქიასი

## საინტერესო ამბავი

### მოლაპარაკე ვაშლი

კალიფორნიაში (აშშ) მიკროფონს იყენებენ მწიფობაში შესული ხილის ვარგისიანობის გამოსარკვევად. ამისათვის იგი მიაქვთ ხეზე ჩამოკიდებულ ვაშლთან. თუ ვაშლის შიგნით მოკალათებულია მატლი, ხმამაღალი მოლაპარაკე მისი ღრღნის მიხედვით აძლიერებს ხრიალს. დაავადებულ ხილს მაშინვე აცილებენ ხეს.

### რამდენი ყინულია დედამიწაზე

მსოფლიოში არსებული ყინული რომ გადნეს, ოკეანეების დონე 60-დან 120 მეტრამდე აიწევდა. გეოფიზიკური წლის გამო ჩატარებული გამოკვლევების შედეგად დაზუსტდა, რომ მთელს დედამიწაზე ყინულის რაოდენობა აღწევს 20 მილიონ კუბ კილომეტრს. ამ მსოფლიო მარაგის 90% თავმოყრილია ანტარქტიდაში.



მხატვარი ვ. მიშველაძე ↑



← მხატვარი ა. ერაძე

↓ მხატვარი ა. რევაზიშვილი



რედაქტორი გრ. აბაშიძე
პ/მგ. მდივანი ნ. ჩაჩავა
სარედაქციო კოლეგია: ი. გიგინეიშვილი, ს. დურმიშიძე, მ. საკაშვილი, ი. ტაბაღუა, ი. ციციშვილი, რ. ჩხეიძე, უ. ჯაფარიძე

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა | მხატვარი-რედაქტორი ვ. ონიანი. ტექრედაქტორი დ. სეფიაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, IV სართ. ტელ. — რედაქტორის და პ/მგ. მდივნის — 3-52-69, განყოფილებების — 3-95-38

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. ფასი 3 მან. გარეკანი და ჩანართი გვერდები დაბეჭდილია ფოტოცინკოგრაფიაში

ხელმოწერილია დასაბეჭდად 8/VII-60 წ. გამომც. № 75. ქაღ. ზომა 70×108 1/8. 1,5 ქაღ. ფურც. ნაბეჭდი ფურც. 4,11. სააღრიცხვო-საგამომცემლო ფორმათა რაოდ. 4,79. პირობით ფორმათა რაოდენობა 4,8. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 4,8. ტირაჟი 22.200. შეკ. № 1031, უე 00050

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша“ (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პ/კ „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. №14.



# ვან კლიბერნი თბილისში

მიმდინარე წლის 17 ივნისიდან 22 ივნისამდე თბილისში იყო ჩაიკოვსკის სახელობის მოსკოვის საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი ამერიკელი პიანისტი ვან კლიბერნი.

18 და 20 ივნისს თბილისის სახელმწიფო ფილარმონიის საზაფხულო თეატრში ვან კლიბერნმა გამართა ორი კონცერტი.

ვან კლიბერნის კონცერტებმა თბილისელთა, დიდი მოწონება დაიმსახურა.

თვითონ ვან კლიბერნი აღფრთოვანებული იყო თბილისით, მისი ბუნებით, ფუნიკულიორიდან საღამოს ხედით. იგი ხშირად იმეორებდა: „მე მიყვარს თბილისი“, „თბილისი კარგია“, „ლამაზია“






(ეს სიტყვები მან ქართულად ისწავლა). იგი თბილისს ადარებდა ამერიკის შეერთებული შტატების სამხრეთ რაიონებს, კერძოდ თავის სამშობლო ტეხასს.

მე არასოდეს არ დამავიწყდება საქართველო, ქართული სტუმართმოყვარეობა, ამიტომ დავრჩი აქ ზედმეტი ორი დღე, რითაც დიდად კმაყოფილი ვარ, — ამბობდა იგი.

ვან კლიბერნი თბილისში გაეცნო ქართველი კომპოზიტორების ნაწარმოებებს. იგი უკრავდა და მღეროდა „სულიკოს“, „სიმღერას თბილისზე“, „ციცინათელას“ და სხვ. იგი აღტაცებას გამოსთქვამდა ქართული სიმღერების მელოდიურობის გამო.

ფილარმონიის ხელმძღვანელობამ მას ჩოხა-ახალუხი შეუკერა და მიართვა.

აეროდრომზე გამგზავრების წინ ვან კლიბერნმა შემდეგი შინაარსის წერილი დატოვა: „მშვენიერი აგარაკის მთელ შესანიშნავ პერსონალს. თქვენ იმდენი სიამოვნება და ნამდვილი დასვენების შესაძლებლობა მომეცით არამარტო საუკეთესო კვებით, არამედ კეთილი თავაზიანობით, რომელიც იმდენად მრავალფეროვანია, რომ ძნელია მისი აღწერა.

ცხადია, ეს მშვენიერი ადგილია, მაგრამ მარტო ადამიანებს შეუძლიათ მისი გამოცოცხლება. მადლობის გრძნობით ვიგონებ ყოველივე ამას და გეუბნებით ნახვამდის.

ვიმედოვნებ, რომ მალე დავბრუნდები აქ, ხოლო მანამდე მე გიტოვებთ თქვენს ჩემს აღფრთოვანებულ, საუკეთესო სურვილებს და გულითად მადლობას.

გულახდილად მუდამ თქვენი ვარ კლიბერნი მშვიდობით.

ეს უკანასკნელი სიტყვა მან მიაწერა ქართული ასოებით.

ილია ტაბაღუა





ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა
ხ 13/198